5/2 ლ 10908

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ახალგაზრდა ივერიელი

გამოდის 1921 წლიდან

1 აგვისტო, ხუთშაბათი 1991 № 89 (11722)

საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი

ფასი 10 კაპ.

## საბჭოთა კავშირის უზენაეს საბჭოს

**საქართველოს** რესპუბლიკის უზენაეს საბჭოს, გაეცნო რა სსრკ უზენაესი საბჭოს მიმართვას სომხეთის, საქართველოს, ლიტვის, ლატვიის, მოლდოვეთისა და ესტონეთის უზენაესი საბჭოებისადმი, საჭიროდ მიაჩნია კიდევ ერთხელ გამოხატოს თავისი პოზიცია სსრ კავშირთან სახელმწიფოთაშორისი ურთიერთობის პრინციპებთან დაკავშირებით.

კარგად ვიცით, რაოდენ მყარი პოლიტიკური, ეკონომიკური და კულტურული კავშირები საქართველოსა და საბჭოთა კავშირს შორის. საქართველოში დარწმუნებული არიან, რომ მომავალში ეს კავშირები თვისებრივად ახალ საფუძველზე უნდა აიგოს. რათა არათუ შევინარჩუნოთ, არამედ უფრო გავამრავლოთ ყოველივე ღირებული, რაც ჩვენი ერების მრავალსაუკუნოვანი ურთიერთობის შედეგად შეიქმნა. მაგრამ გვჯერა, რომ ამას მხოლოდ ორივე მხარის სუვერენიტეტისადმი ურთიერთპატივისცემის საფუძველზე შეიძლება მივაღწიოთ. ღრმად ვართ დარწმუნებული — ჩვენი დამოუკიდებლობა ამ პროცესების გაღრმავებას მხოლოდ ხელს შეუწყობს. ევროპის ომისშემდგომმა განვითარებამ გვიჩვენა, რომ დემოკრატიული ძალების თანასწორუფლებიანი თანამშრომლობა, როცა ყველა ადამიანს ყოველგვარი იდეოლოგიური და სხვა. დაბრკოლებების გარეშე შეუძლია ეზიაროს ნებისმიერი ერის სულიერ ღირებულებებს, ყველაზე მეტად უწყობს ხელს მჭიდრო კულტურული, ეკონომიკური და პოლიტიკური კავშირების დამყარებას.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესმა საბჭომ, ეყრდნობოდა რა ქართველი ხალხის მიერ 1991 წლის 31 მარტის რეფერენდუმზე გამოთქმულ ნებას, გამოაცხადა საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენა. ამასთან ერთად, არაერთხელ დავადასტურეთ, რომ მზად ვართ ურთიერთხელსაყრელი, თანასწორი პოლიტიკური, ეკონომიკური და კულტურული ურთიერთობისათვის საბჭოთა კავშირთან და იქ მოსახლე ერებთან. მაგრამ სამწუხაროდ, საბჭოთა კავშირში არიან გავლენიანი კონსერვატორული ძალები, რომლებიც ყოველნაირად ებრძვიან ამ პროცესებს. ისინი ცდილობენ დაარღვიონ საქართველოს ტერიტორიული მთლიანობა. ხელს უწყობენ რესპუბლიკაში ეთნოკონფლიქტების გაღვივებას, აწყობენ ეკონომიკურ ბლოკადას, ყოველნაირად უშლიან ხელს მის კავშირებს დანარჩენ მსოფლიოსთან და ამით ცდილობენ „დაგვსაჯონ" იმისთვის, რომ არ გვსურს ხელი მოვაწეროთ სამოკავშირეო ხელშეკრულებას. ასეთი მოქმედება ხელს ვერ შეუწყობს ჩვენს ქვეყნებსა და ერებს შორის ურთიერთობის გაუმჯობესებას.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესმა საბჭომ არაერთხელ შესთავაზა საბჭოთა კავშირის ხელმძღვანელობას დაუყოვნებლივ დაგვეწყო მოლაპარაკება ჩვენი სახელმწიფოების ურთიერთობასთან დაკავშირებული ყველა პრობლემის გადასაწყვეტად.

მიგვაჩნია, რომ ორივე მხარის წინაშე მდგარი პოლიტიკური და ეკონომიკური საკითხების სწრაფი გადაწყვეტა ხელს შეუწყობს ჩვენი ურთიერთობის მოწესრიგებას, ქართველ და საბჭოთა ხალხებს შორის ეგობრული კავშირის გაღრმავებას.

ზემოთქმულიდან გამომდინარე, საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო ადასტურებს, რომ მზად არის ნებისმიერ წუთს მიუჯდეს მოლაპარაკების მაგიდას საბჭოთა კავშირის ხელმძღვანელობასთან. იმედი გვაქვს, რომ კეთილ ნებასა და კეთილგონიერებას გამოიჩენთ ჩვენი სახელმწიფოებისა და ხალხების თავისუფლებისა და აყვავების საკეთილდღეოდ.

**საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო**

თბილისი. **1991 წლის 25 ივლისი**

### საქართველოს რესპუბლიკის პირველი მოწვევის უზენაესი საბჭოს პირველი სესიის მორიგი სხდომის შესახებ

საქართველოს რესპუბლიკის პირველი მოწვევის უზენაესი საბჭოს პირველი სესიის მორიგი სხდომა გაიმართება 1991 წლის 2 აგვისტოს 10 საათზე, უზენაესი საბჭოს სხდომათა დარბაზში.

უზენაესი საბჭოს დეპუტატთა რეგისტრაცია იწარმოებს 2 აგვისტოს 8 საათსა და 30 წუთიდან.

### საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის

## ბრძანებულება

### ვ. მ. გაბელიას მარნეულის რაიონის პრეფექტად დანიშვნის შესახებ

განთავისუფლდეს **ვალერი მიხეილის ძე გაბელია** ჩხოროწყუს რაიონის პრეფექტის მოვალეობისაგან და დაინიშნოს მარნეულის რაიონის პრეფექტად.

**საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტი**
**ზვიად გამსახურდია**

**თბილისი**
1991 წლის 30 ივლისი.

### ქრონიკა

**საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის ბრძანებულებით არჩილ ოთარის ძე მაჭავარიანი გათავისუფლებულია მარნეულის რაიონის პრეფექტის მოვალეობისაგან.**

საქინფორმი.





## „სანავია": შვეულმფრენი მთებისაკენ მიიჩქარის



აქ ყველაფერი გათვლილია. თითოეული წუთი შეიძლება ადამიანის სიცოცხლედ დაჯდეს. ამიტომ, როცა გადაუდებელი საკონსულტაციო სამედიცინო დახმარების რესპუბლიკური სადგურის სადისპეტჩეროში გაისმის საქალაქთაშორისო ტელეფონის გაბმული ზარი, რესპუბლიკის სანიტარული ავიაციის უფროსი გივი კანდელაკი მაშინვე უკავშირდება თბილისის აეროპორტს და სთხოვს — შვეულმფრენი დაუყოვნებლივ გაამზადონ გაფრენისათვის. უკვე ერთი საათის შემდეგ კი შვეულმფრენი, რომელსაც გამოცდილი მფრინავები მართავენ, კურსს იღებს იმ მიმართულებით, სადაც ადამიანები სასწრაფო დახმარებას ელოდებიან.

— ძნელად მისადგომ ადგილებში დახმარების გაწევის ასეთი ორგანიზაცია — „სანავიას" ძირითადი ამოცანაა, — ამბობს ბატონი გივი. კაცი, რომელიც თითქმის ოცი წელია, რაც ამ მოუსვენარ სამსახურს ხელმძღვანელობს. — ავიაციის მეშვეობით მედიკოსები უმოკლეს ვადაში უწევენ გადაუდებელ დახმარებას ავადმყოფებს. ატარებენ სპეციალურ ლაბორატორიულ და სამედიცინო გამოკვლევას, მიაქვთ სასწრაფო სამედიცინო ტვირთი და მედიკამენტები, საჭირო შემთხვევაში ავადმყოფები გადმოჰყავთ სპეციალიზირებულ სამკურნალო დაწესებულებებში, „სანავიამ" სასწრაფო სამედიცინო დახმარება უკვე აღმოუჩინა 35 ათასამდე ადამიანს.

სად არ ყოფილან ექიმები შვეულმფრენით: სპიტაკში, სვანეთში, დასავლეთ საქართველოს ტრაგედიის ზონებში. საქართველოს „სანავია" წელიწადში საშუალოდ შვიდას გაფრენას ასრულებს.

**ა. ალექსიძე**
**(საქინფორმის კორესპონდენტი).**

**სურათებზე:** მორიგე ექიმი ირმა ზაქარიაშვილი: გამოძახება მიღებულია, დაელოდეთ ბრიგადას!

ექიმები მოფრინდნენ მაღალმთიან ომალოში;

მთა-თუშეთი;

ახმეტის რაიონის მთავარი ექიმი ირაკლი იმერლიშვილი.

**გონდო დადვაძისა და სერგო ედიშერაშვილის** ფოტო.
**(საქინფორმის ფოტოქრონიკა)**



ეროვნული ბიბლიოთეკა

# ათვლის ორიენტირი

## სად არის ცენზურა და ეკატერინე I-ის მამაკაცები



დღეს ჩვენი გაზეთის სტუმარია საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს წევრი, მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა და გამომცემლობების კომისიის თავმჯდომარე, ცნობილი ისტორიკოსი ლევარდ ტუხაშვილი

**ბატონო ლევარდ! საზოგადოება ყოველთვის გიცნობდათ როგორც ისტორიკოსს, კომპლიმენტსაც გეტყვით, ორიგინალური აზროვნებისა და ხელწერის შემოქმედს, საინტერესო ისტორიულ-პუბლიცისტური სტატიების ავტორს, ბოლო დროს კი თქვენ ძირითად საქმიანობად პოლიტიკა იქცა. კითხვა კი ასეთი იქნება, არის თუ არა ლევარდ ტუხაშვილი პროფესიონალი პოლიტიკოსი?**

უნდა გამოგიტყდეთ, მიჭირს ამ კითხვაზე პასუხის შოძებნა. მე ვარ პროფესიონალი ისტორიკოსი. და ამით ვამაყობ კიდეც. უფრო მეტს გეტყვით. თავს ვთვლი მკვლევარ ისტორიკოსად. თვით რიგითი პუბლიცისტური სტატიაც კი ყველა მოვლენის ჩემეული გააზრების პროდუქტია. შესაძლოა ჩემი გამოქვეყნებული ნაშრომები ამ კატეგორიულ განცხადებას მთლიანად არ ადასტურებს, მაგრამ, თუ დამიჯერებთ, ძალზე ბევრი საკითხი მაქვს დამუშავებული. მათ უახლოეს ხანში იხილავს საქართველოს ისტორიით დაინტერესებული მკითხველი. „ცოდვა გამხელილი სჯობს“ — მეც მომერია ყველა ქართველის სენი და ბედი ვცადე ლიტერატურაშიც, მაქვს ისტორიული რომანი „ბედნიერი ლომი“. იგი ეძღვნება ყუთლუ არსლანის პოლიტიკური დასის პროგრამას. ეს ცდა, ისტორიული მოვლენის ლიტერატურული ასახვისა, შემთხვევით არ გამიკეთებია. საქმე ისაა, რომ ყუთლუ არსლანის გამოსვლის შესახებ „ქართლის ცხოვრებაში“ სულ რამდენიმე წინადადებაა. ქართულ ისტორიოგრაფიაში ამ ორიოდე წინადადებაში ასახულ ამბავს მოჰყვა ორ ათეულზე მეტი „თეორია“. მე მოვერიდე ახალი ასეთი ჰიპოთეზის შემოტანას და გასაქანი მივეცი მხატვრულ ფანტაზიას. შეიძლება დასვათ კითხვა, რატომ არ ვაქვეყნებდი ჩემს ისტორიულ-მხატვრულ ნაწარმოებს? უბრალოდ მეშინოდა უდიდესი პასუხისმგებლობის. ეს შიში უკვე გამიქრა და ალბათ ყველაფერი გამოქვეყნდება.

ახლა დავუბრუნდეთ კითხვის მთავარ ნაწილს; ვარ თუ არა პროფესიონალი პოლიტიკოსი? კლასიკური გაგებით, რა თქმა უნდა, არა. ქართველი საზოგადოების დღევანდელი პოლიტიკური აზროვნების თვალსაზრისით კი შემიძლია თავი პოლიტიკოსად ჩავთვალო, ოღონდ ერთი კი უდავოა, ჩემში პოლიტიკოსთან ერთად მტკიცედ ზის მედიევისტი—მომავლის განსაზღვრას ვცდილობ ისტორიული ანალოგების ანალიზით. ეს მეხმარება გამოვიცნო საბოლოო შედეგი, თუმცა წმინდა „ფუტუროლოგიური“ პოზიციებიდან აშკარად ვგრძნობ, რომ ჩემს პოლიტიკურ გათვლებს რაღაც აკლია.

თანამედროვე საქართველოს საზოგადოებრივ-პოლიტიკური აზროვნება თანდათან ყალიბდება ორი მიმართულებით. ერთი ნაწილი წარიმართება კონსერვატორიული გზით, რომლის ორიგინალური ფორმა არის ტრადიციონიზმი, მეორე აშკარად გამოიკვეთა რადიკალიზმის ფორმით. ამ ორი მიმართულების ცხოვრებისეული რეალიზაცია ძირითადად ისევე ორი მეთოდით ხდება; ერთს ვუწოდებდი კომპრომისულს, რომელიც მე გამოვხატე „აქტიური ლოდინის ტაქტიკის“ თეორიით, ხოლო მეორე არის რადიკალურ-მეამბოხური, მე პირველი მეთოდის მომხრე ვიყავი. თუმცა ვაღიარებ, რომ ხშირად კომპრომისულ-ლოიალური გადადიოდა პოლიტიკურ-„თობიკურ სინდრომში“. ე. ი. მუდმივ შიშში. იმასაც ვაღიარებ, რომ შიშის სინდრომმა ჩემზე ძალიან მოახდინა გავლენა. ვინმეს არ მოეჩვენოს, რომ პიროვნულ შიშზეა ლაპარაკი, პირიქით, ჩემთვის ასეთი ცნება არ არსებობს. მე მხედველობაში მაქვს მიკრობოკალიკური რყევისადმი სიფრთხილე. ამჟამად დაკავებული ვარ ამ ორი მეთოდის ეროვნულ-პოლიტიკურ სიტუაციასთან მისადაგების გზების ძიებით. თუ ეს შევძელი, მაშინ მე ჩავთვლი, რომ პროფესიონალ პოლიტიკოსად ვყალიბდები.

***ერთ-ერთ არაფორმალურ გაზეთში თქვენს მიმართ ნახმარი იყო ფრაზა — „ელასტიური კახელი“. თქვენ როგორ აღიქვით, როგორც საყვედური, თუ როგორც ქება?***

— თქვენ ალბათ მხედველობაში გაქვთ ბატონ რუსლან მიქაბერიძის ლექსები (ფუნაგორიები). სხვათაშორის, პირველი ლექსი ჩემს შესახებ მან ასეთი შინაარსის დაწერა: „კომპარტიას, მაშინ როცა, ავი დარი დაუდგება, როცა დიდი გაფიცვების ნიაღვარი მოვარდება, დიალოგის ხიმზე მოსხის, გვე-ტუხაშვილ-ლოვარდება“.

ამის შემდეგ, რამდენადაც მახსოვს, მან კიდევ სამი ლექსი მომიძღვნა. არც ერთი არ მიმიღია საწყენად; სხვათაშორის, არც ქებად. რაც შეეხება გამოთქმას — „ელასტიური კახელი“, აქ ერთი საინტერესო დეტალია. რატომღაც „კახელობა“ წარმოდგენილია სწორხაზოვნად. ქართული ანეკდოტების ორმოცდაათი პროცენტი კახელების შესახებ იქმნება. იმას კი აღარავინ აქცევს ყურადღებას, რომ ეს ანეკდოტები თვითონ კახელებმა შექმნეს. კახელებს ახასიათებს უდიდესი იუმორის გრძნობა. იუმორი საერთო ქართული თვისებაა და ყველაზე უკეთ ეროვნულ-ქართული იუმორი კახეთში შემორჩა. ვიყოთ გულახდილნი, აბა მომიტანეთ დასავლეთ საქართველოში შექმნილი ანეკდოტი, ათიდან ცხრას ევროპული ანეკდოტების წიგნში ვიპოვი. სამაგიეროდ კახური ანეკდოტების უდიდესი ნაწილი ორიგინალურია. ეს იმას ნიშნავს, რომ საერთოდ ქართული იუმორი უფრო კონსერვატულად კახეთში შემორჩა. მე არ მწყინს იუმორი, რადგან იგი მეტყველებს ერის სულიერი ენერგიის სიჯანსაღეზე და, რაც მთავარია, ზოგჯერ იუმორს უწოდებენ გენის კაპრიზს. მაგრამ იუმორს თუ სარკაზმი მოერია, ან ჩვეულებრივად რომ ვთქვათ, ლვარძლი და ბოღმა, ის უკვე იუმორი აღარ არის. რაც შეეხება „კახელთა ელასტიურობას“, ბატონმა რუსლან მიქაბერიძემ რომ იცოდეს საქართველოს ისტორია. იგი დაინახავდა, რომ პოლიტიკური ელასტიურობა XV საუკუნიდან მოყოლებული სწორედ კახურ დინასტიას ახასიათებდა. სწორხაზოვნება დიპლომატიაში არის წინასწარ „დაგეგმილი“ მარცხი. რაც შეეხება ლექსებს, სხვათაშორის, ეს გატაცება მეც მაქვს. ვამაყობ, რომ მაქვს ორი ნიჭი: უდიდესი და ძალიან პატარა. უკანასკნელი იმაში გამოიხატება, რომ მეც ვწერ ლექსებს. რაც შეეხება ჩემს უდიდეს ნიჭს, რომლითაც თვითონვე ვარ აღფრთოვანებული, ის გახლავთ, რომ ამ ლექსებს არ ვაქვეყნებ, მხოლოდ ერთხელ დავუშვი გამონაკლისი.

საზოგადოებას ბევრი სიძნელეები აქვს: არის ფასების ზრდა, მართლწესრიგის მოშლილობა, პოლიტიკური ამბიციები, შიში მომავლისადმი... ასეთ შემთხვევაში რატომ უნდა გავურთულოთ ადამიანებს ისედაც რთული ცხოვრება. რაც შეეხება ჭეშმარიტ პოეზიას, ეს ის უდიდესი და მიუწვდომელი იდუმალებაა, რომელთა შეცნობა ყველას არ ძალუძს, აღფრთოვანება კი შეუძლია. გაუმარჯოს ასეთ პოეზიას.

**ჩემით თქვენი სტატიები ვახსენეთ და მინდა გავახსენოთ, რომ დღემდე ელის მკითხველი თქვენი სტატიის — „ცოცხლებს მოვუხმობ“ — გაგრძელებას.**

— სტატია „ცოცხლებს მოვუხმობ“ მართლაც პოპულარული აღმოჩნდა. უკვე ორი წელია მკითხველთა ერთი ნაწილი მთხოვს მის გაგრძელებას. თავის დროზე ამ სტატიის შეჩერებამ დიდი მითქმა-მოთქმა გამოიწვია. ოფიციალურ ხელისუფლებას დაბრალდა მისი აკრძალვა. სინამდვილეში ეს ასე არ ყოფილა. ის არავის აუკრძალავს. ორმა გარემოებამ კი იმოქმედა ჩემზე. ერთ-ერთი სამხედრო გაზეთის რედაქციიდან დამირეკეს და გადმომცეს მოკითხვა გერმანიის სამხედრო ოლქის ხელმძღვანელებისაგან ქ. ლაიფციგიდან, სადაც ჩემი ვაჟიშვილი მსახურობდა. იგი სრულიად ჯანმრთელი ჩამოვიდა. მისი აზრით, ე. წ. „დედოვშჩინა“ ნაკლებად იყო გერმანიაში განლაგებულ ჯარებში გავრცელებული. მას იქ არც განსაკუთრებული შევიწროება უგრძვნია, თუ არ ჩავთვლით 9 აპრილის ტრაგედიის შემდეგ აშკარად გამოხატულ ანტიპათიას ქართველი ჯარისკაცების მიმართ, მაგრამ ტელეფონის ზარმა ძალიან შემაშფოთა. არ გამოვრიცხავ, რომ დარეკა ვიღაც პროვოკატორმა და არაოფიციალურმა პირმა. გადავწყვიტე, რომ სტატია დამემთავრებინა გერმანიიდან ჩემი ვაჟიშვილის დაბრუნების შემდეგ. მეორე მიზეზი წმინდა მწერლური ხასიათისაა. საქმე ისაა, რომ ჩემი სურვილი იყო დამემტკიცებინა შემდეგი: რუსეთის იმპერიის სათავეში ყოველთვის იდგნენ უცხოელები, რომელთაც არაფრად უღირდათ რუსი ხალხი: თუ რუს ხალხს სურს მსოფლიოს აჩვენოს თავისი ჭეშმარიტი შემოქმედებითი უნარი, აუცილებელია განთავისუფლდეს „გერმანულ“-„თათრულ“-„ებრაული“ სინდრომებისაგან. ჩვენ არაფერი სადავო არა გვაქვს დიდ რუს ხალხთან. დამოუკიდებელი საქართველოს ყველაზე ერთგული მოკავშირე დემოკრატიული რუსეთის სახით მეგულება. მაგრამ ჩემი მიზნის საილუსტრაციოდ მოხმობილი მასალა აღმოჩნდა ძირითადი არსის წამლეკავი მოვლენა. მკითხველმა დაიჭირა არა იდეა, არამედ პიკანტური ისტორიები. ქუჩაში შემხვედრი ბევრი ნაცნობი მეკითხებოდა, საიდან გამოთვალე, რომ ეკატერინე I-ს დაახლოებით 700 საყვარელი ჰყავდაო. ერთმა პროფესორმა, წყენით მკითხა: შენ რა, საწოლის ქვეშ იწექი და ისე თვლიდი ეკატერინე I-ის საყვარლებსო. სხვათაშორის, ამ ტრაგიკომიკური ბედის მქონე ქალის მოკლე ბიოგრაფია ასეთია: იგი ნახევრად ლიტველი, ნახევრად გერმანელი გოგონა გახლდათ. შეაცდინა ქსენძმა (კათოლიკე მღვდელმა). შეცდენილიც და შემცდენელიც ტაძრიდან გამოიქცნენ. ამ დროს მიმდინარეობდა რუსეთ-შვეციის 21-წლიანი ომი. ახალგაზრდა ეკატერინე ჯერ შვიდი ჯარისკაცის გასართობი გახდა, მოგვიანებით იგი რუსი ჯარისკაცების ხელში გადავიდა. აქ დაიწყო მისი თავბრუდამხვევი კარიერა. თავიდან ჯარისკაცებს ართობდა, მერე პოდპორუჩიკებს და პორუჩიკებს. იფურჩქნებოდა მისი ახალგაზრდული სხეული, მაღლდებოდა მისი სამოქმედო ასპარეზიც. ბოლოს ხელში ჩაუვარდა ხანში შესულ ფელდმარშალს — შერემეტიევს. ამ უკანასკნელს კატიუშა უფრო ახალგაზრდა ფელდმარშალმა — მენშიკოვმა წაართვა. მენშიკოვს კი იმპერატორმა პეტრე I-მა ჩამოართვა. იმპერატორი ზნეობრივი ადამიანი აღმოჩნდა და კატიუშა დედოფლად გამოაცხადა. პეტრეს სიკვდილის შემდეგ ეკატერინე I რუსეთის იმპერატორი გახდა. საიდან მოდის რიცხვი 700? რა თქმა უნდა, ეს რიცხვი მიახლოებითია. შესაძლებელია კატიუშას 680 ან 730 საყვარელი ჰყავდა, მაგრამ როდესაც მე ვიღებდი რიცხვს 700-ს, გამოვდიოდით გარკვეული მოსაზრებიდან. სულ რამდენიმე წლის წინათ გაზეთმა „კომუნისტმა“ გამოიჩინა ინიციატივა და თბილისში საროსკიპოების გახსნა მოითხოვა. რას იზამ, დემოკრატია ყველაფერს იტანს. ვიღაცეებმა შეიმუშავეს ქართული საროსკიპოების წესდებაც. თურმე უცხოეთში ძირითადად არსებობს სამი ტიპის საროსკიპო: 1. საერთო-სახალხო, ანუ ბულვარული. 2. ელიტარული (მდიდარი ადამიანებისათვის) და „დიონისური“. ბულვარული მაშინ არის მომგებიანი, თუ თითოეული ქალბატონი ყოველწლიურად გაისტუმრებს ხუთას კლიენტს ანუ ხუთას ფულიან ხვადს. სხვაგვარად, ქალბატონი რენტაბელური არ იქნება და როგორც წამგებიანი, დაკარგავს სამუშაოს. თბილისელ ინიციატორებს აქცენტი აღებული ჰქონდათ ბულვარულ საროსკიპოზე. ეს ამბავი მაშინ არ გამოვიდა ერთი უზერხულობის გამო. ჩვენში გავრცელებული იყო გეგმა, ანუ „პლანი“, „ვსტრეჩნი პლანი“, კომკავშირული და პარტიული ვალდებულება. წარმოიდგინეთ ასეთი რამ: დამკვრელი ფეიქარი, მქსოველ ქალთა კომუნისტური შრომის ბრიგადა და უცებ... კომკავშირულ როსკიპთა შრომითი ვალდებულება. ჩაიშალა მაშინ ეს საქმე, მაგრამ ხომ დარჩა წესდების მონახაზი. მეც აქედან ავიღე ათვლის ორიენტირი. თუ თითოეულმა ქალმა წელიწადში 500 კაცი უნდა გაისტუმროს თანამედროვე იმპოტენტური სინდრომის პირობებში, XVIII საუკუნის დასაწყისის ტემპერამენტის ვითარებაში რაღა იქნებოდა? რადგან კატიუშა შვიდი წელი ეწეოდა ბოჰემურ ცხოვრებას, ყოველწლიურ ნორმად ჩავუთვალე ყველაზე მინიმალური — 100 მამაკაცი. ვითომ ახლა ნამეტანი ბევრია კატიუშასათვის? მით უფრო, რომ ჩვენთვის ცნობილია მისი მომდევნო ეპოქის — დედოფალ ანას, დედოფალ ელისაბედისა და განსაკუთრებით ეკატერინე II-ის ლეგენდარული ორგიები.

ახლა დავუბრუნდეთ კითხვას: ვაპირებ თუ არა ამ სტატიის გაგრძელებას? იგი გამოვა ცალკე, პატარა სათავგადასავლო წიგნის სახით.

**თქვენ ბრძანდებით მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა და საგამომცემლო საქმის ქვეკომისიის თავმჯდომარე, მკითხველს აინტერესებს უფრო ზუსტად განმარტოთ თქვენი სტატუსი, ხომ არ გიხდებათ ზოგჯერ, თუნდაც უნებლიეთ, ცენზორის როლის შესრულება?**

ჩვენ ვართ საკანონმდებლო ორგანო. ჩვენი მთავარი ამოცანაა საკანონმდებლო აქტების შემუშავება. ამჟამად უკვე მომზადებული გვაქვს პრესის კანონი. მის დამუშავებაში მონაწილეობა მიიღო უზენაესი საბჭოს მუშა ჯგუფმა: ე. ჯაველიძის, მ. წიკლაურის, ა. ბედუკაძის და სხვათა მონაწილეობით. ცალკე კანონპროექტი შემოგვთავაზა „დასმა“. ძირითადი საფუძველი გახდა სამუშაო ჯგუფის მიერ მომზადებული კანონპროექტი, თუმცა ყველაფერი რაციონალური აღებულ იქნა „დასის“ ნაღვაწიდანაც. რა თქმა უნდა, ეს ორი კანონპროექტი მექანიკურად არ შეგვიერთებია. მთავრდება მუშაობა კანონპროექტზე, რომელიც ეხება გამომცემლობებს, პოლიგრაფიული ბაზის პრივატიზაციას და სხვა. როგორც ხედავთ, ჩვენ ვიფარგლებით ძირითადად საკანონმდებლო საქმიანობით, მაგრამ ჩვენ გვაქვს კონტროლის ფუნქციაც. გთხოვთ კარგად გაიგოთ; კონტროლმა არ შექმნას ცენზურის შთაბეჭდილება. ამისი ჩვენ სასტიკი წინააღმდეგი ვართ. უბრალოდ თვალყურს ვადევნებთ კანონების რეალიზაციას. მაშასადამე, კი არ ვმართავთ, არამედ ვაკონტროლებთ, არ შეილახოს კანონიერება. კანონიერება ნიშნავს როგორც მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა დაცვას, ასევე მოქალაქეთა დაცვას მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა მიერ ზოგჯერ გამოვლენილი პიროვნების ღირსებისათვის შეურაცხმყოფელი ქმედებისაგან. მაშასადამე, თუ რომელიმე გაზეთს ვსაყვედურობთ, რომ არ დაარღვიოს კანონი, ეს არ ნიშნავს ცენზურას, ეს არის შეხსენება კანონის დაცვის აუცილებლობის შესახებ. პირადად ჩემი დაკვირვებით, პრესა უფრო ხშირად არღვევს კანონიერებას, ვიდრე მისი „შემზღუდავი“ რომელიმე ორგანო. ვიმეორებ, ჩვენ ვართ საკანონმდებლო-მაკონტროლებელი ხელისუფლება და არავითარი სურვილი არა გვაქვს ჩავერიოთ აღმასრულებელ-განმკარგულებელი ორგანოების ფუნქციებში. მაგრამ არსებობს მკაცრი სინამდვილიდან გამომდინარე ფაქტობრივი მხარეც. ზოგჯერ ნამდვილად იძულებული ვხდებით ჩავერთოთ წმინდა „მიწიერ“ საქმეებშიც. ამას ორი გარემოება განაპირობებს:

1. დაუძლეველი აღმოჩნდა ინერციული სინდრომი. ცალკეული მოქალაქეები, ჟურნალისტთა ურთიერთდაპირისპირებული დაჯგუფებანი, მთელი რედაქციები ურთიერთობებს ერთმანეთთან და ზოგჯერ ოფიციალურ უწყებებთან არკვევენ ჩვენთან. ყოველდღიურად ქვეკომისიაში შემოდის 5-7 წერილი, ორჯერ მეტი ზეპირი

ეროვნული ბიბლიოთეკა

განცხადება, განუწყვეტლივ რეკს ტელეფონის ზარიც. ამ კონფლიქტების მოგვარება უნებლიეთ უხდებათ ჩვენი კომისიის წევრებს.

2. არსებობს უფრო ღრმა, ძნელად დასაძლევი ობიექტური მიზეზებიც. საქმე ისაა, რომ ძალზე ძნელად დასამსხვრევია ბიუროკრატიული სტრუქტურები. გთხოვთ, კარგად დააკვირდეთ. მხედველობაში მაქვს არა ბიუროკრატიული აპარატი, არამედ ბიუროკრატიული სტრუქტურები. აპარატის მოწესრიგება ძალზე იოლია. მოვიდა ახალი ხელისუფლება, მოვიდნენ ახალი ადამიანები. მათ უდიდესი სურვილი აქვთ ყოველი პრობლემა გადაწყვიტონ ობიექტურად და ოპერატიულად. ამის საშუალებას ნაკლებად იძლევა ტოტალიტარული სახელმწიფოს შემორჩენილი ბიუროკრატიული სტრუქტურა. მაგალითად, ახალი გაზეთის რეგისტრაციას დიდი სირთულეები ახლავს. გამომცემლობებს, სტამბებს, საერთოდ უჭირთ დამოუკიდებლად რაიმე გადაწყვეტილების მიღება. ერთმანეთში ჩახრდილ-ჩახლართულია ხალხის პოლიტიკურ-ადმინისტრაციული, სოციალურ-ეკონომიკური და თუნდაც ყოფითი ურთიერთდამოკიდებულების არსებული წესები. შთაბეჭდილება რჩება, რომ ი. სტალინი ქმნიდა ზემძლავრ სახელმწიფოებრივ მანქანას, სადაც არსებობს ურთიერთანგარიშვალდებულება, რაც მყარ საფუძველს უქმნიდა პარტიულ ხელისუფლებას. ამ სტრუქტურების დარღვევა ნელა ხდება, რაც თანამედროვე მღელვარე ბუნტარული დროისათვის სრულიად ლოგიკურია. ურთიერთგამომრიცხავი დადგენილებების რეგულირება ხდება ე. წ. „დაწოლითი" წესით. ეს შეუფერებელია თავისუფალი საზოგადოებისათვის, მაგრამ ის დღეს ჯერჯერობით იძულებითი აუცილებლობაა. სხვათა შორის საზოგადოებაც მიუჩვეველია სიახლეს, იგი კონსერვატორი რჩება (ამ შემთხვევაში კონსერვატიზმი - ცალკეული სტრუქტურის უნებლიე ერთგულებაა), თუმცა ეს არ არის არც მიზანი და არც მიმართულების სტრატეგიული გეზი, იგი დროებითია და მისგან ნელა, მაგრამ დაჟინებით ვთავისუფლდებით.

**პრეზიდენტის საყოველთაო არჩევამ გარკვეულად სტაბილური უნდა გახადოს შიდა პოლიტიკური სიტუაცია საქართველოში. ეს, როგორც იტყვიან, სურვილია. რამდენად რეალურია ეს?**

პრეზიდენტის საყოველთაო არჩევამ, პირველ რიგში, სტაბილური გახადა თვით ცენტრალური ხელისუფლება. საქართველო იქცა საპრეზიდენტო რესპუბლიკად. პრეზიდენტი არის შორს გატანილი უფლება, მმართველობის **პოლიტიკური სუბსტანცია.** ძალაუფლება იქცა ხელისუფლებად, ხელისუფლება ძალაუფლებად, რამაც ეროვნული ენერგიის შტურვალი ერთი ძლიერი ნების ქვეშ მოაქცია. ამით დასრულდა ხელისუფლებად ქცეული ძალაუფლების თითქმის სრული კონცენტრაცია. ამ ეტაპზე ეს აუცილებელია, რადგან 1990 წლის 28 ოქტომბრის არჩევნებმა შედარებით დაარეგულირა ეს პროცესი. მაგრამ მაინც დარჩა მრავალხელისუფლებიანობის ნაშთები. ზოგიერთ რაიონში იმდენი ძალაუფლება არსებობდა, რამდენიც შეიარაღებული ჯგუფი. ჩვენი ქვეყნის უახლოეს ისტორიაში ასეთ მოვლენას ეწოდებოდა „მაუზერების ძალაუფლება". თითოეული შეიარაღებული პიროვნება საკუთარ გავლენას ავრცელებდა ტყვიის მიწვდენის მანძილზე. ყველას გვახსოვს, როგორ დამთავრდა ყველაფერი ეს, „მაუზერების ძალაუფლება" შეიცვალა „მაუზერის ხელისუფლებით". ბოლშევიკებმა დაამყარეს თავისებური წესრიგი, ოღონდ სასტიკი რეპრესიების გზით. გახსოვთ ცნობილი გამოთქმა — „სიტყვა ეძლევა ამხანაგ მაუზერს!". უახლოესი ისტორიის ექო აშინებს დღეს ადამიანებს. ცალკეულ ადამიანებს გაუჩნდათ შიში — ძალაუფლების კონცენტრაცია ხომ არ გამოიწვევს დიქტატურის დამყარებას. მე მინდა დავამშვიდო საზოგადოება. ამის საშიშროება არ არსებობს. ჯერ ერთი, ქართულ ეროვნულ სახელმწიფოს არასოდეს ჰქონია სისხლიანი ტირანიის მაგალითი. კონცენტრირებული ხელისუფლება ჩვენში ჰქონდა სამ მეფეს: ბაგრატ III, დავით აღმაშენებელს და გიორგი ბრწყინვალეს, პირველს ქართველმა ხალხმა „დიდი" უწოდა, მეორეს „აღმაშენებელი", მესამეს „ბრწყინვალე". სამივე ეს ზეწოდება არის თითოეული ამ პიროვნების მოღვაწეობის გვიანეული შეფასება. ე. ი. შეფასების კრიტერიუმად აღებულია მოღვაწეობის შედეგი. რუსეთს ასეთი მხოლოდ ერთი მეფე ჰყავდა — პეტრე I, რომელმაც ახალი რუსეთის პროგრესი ძალადობის ცეცხლში გამოატარა. ჩვენ არ გვყოლია არც გულცივი ლანკასტერები და ტიუდორები, არც შმაგი ვალუები, არც გამოტვინებული რომანოვები, არც თეთრხელთათმანიანი სისხლიანი ბურბონები. ქართველებს არც სამოქალაქო ომი სჩვევიათ. ისტორიამ ორიოდე შემთხვევა იცის ქართული სამოქალაქო ომისა. დააკვირდით, თანაც როდის ხდება ძალის კულტირება საქართველოში. ქართველთა ხასიათი საერთოდ რბილი რაინდიზმია, მაგრამ ქართველობას ახასიათებს მკვეთრი ინდივიდუალიზმი, რაც გამოიხატება საოცარ სწრაფვაში სიმაღლეებისაკენ. ჩვენ გვჭირს „ბელადომანია". ეს შესანიშნავად შენიშნეს „მატიანე ქართლისაის" ავტორმა, არსენ ბერმა, ვახუშტი ბაგრატიონმა, დავით გურამიშვილმა, კონსტანტინე ლორთქიფანიძემ, კონსტანტინე გამსახურდიამ. ერთად შენივთებული ქართული ენერგია სასწაულებს ახდენს. ეს იშვიათად ხდება და... მხოლოდ და მხოლოდ ძალით. რაშია დავით აღმაშენებლის სიდიადე? მან მოახერხა თითოეული ქართველის ინდივიდუალური ენერგია საერთო ქართულ ძალად ექცია. ეს იყო სასწაული და შედეგიც სასწაულებრივი მივიღეთ. ოღონდ დავითს ეს შენივთება რევერანსებით არ გაუკეთებია. მან ძალას ძალა დაუპირისპირა. ხოლო ძალა ძალის წინაამდეგ, სიკეთეა აუცილებლად! დავითის იმპერიულ ამბიციებს საქართველო არ უქცევია ტირანულ სახელმწიფოდ. ძალისმიერი დავითობა ბუნებრივად გადაიზარდა ქრისტიანულ სათნოებაში, ანუ თამარობაში. ჩვენ გვაშინებენ ე. წ. ქართული დესპოტური ფენომენით. სატანური ძალის მაგალითად მოჰყავთ ი. სტალინი, ს. ორჯონიკიძე, ლ. ბერია და ა. შ. მაგრამ ქართველებს სისასტიკე ახასიათებთ მხოლოდ ერთ შემთხვევაში — როდესაც ისინი ხვდებიან მონური სულის მქონე ხალხების სათავეში. მართალია ლ. ბერია საქართველოს და ამიერკავკასიის ცკ-ს მდივანი იყო, მაგრამ იგი მაინც უნდა განვიხილოთ რუსული ბოლშევიზმის გამოვლინებად. ლ. ბერია მართავდა არა თავისუფალ, არამედ ოკუპირებულ საქართველოს.

მაშასადამე, საპრეზიდენტო მმართველობა, ე. ი. შორს გატანილი პოლიტიკური ნება არ არის სახიფათო, რადგან იგი გვათავისუფლებს ათასი სხვადასხვა პოლიტიკური ამბიციისაგან. აქედან გამომდინარეობს თქვენს მიერ დასმულ კითხვაზე მთავარი პასუხი. პრეზიდენტის საყოველთაო არჩევას უნდა მოჰყვეს შიდა პოლიტიკური სტაბილიზაცია. ასეთი უნდა იყოს განვითარების ლოგიკა. მაგრამ სანამ რუსული სახელმწიფოს შემადგენლობაში ვრჩებით, ლოგიკური კანონზომიერებანი ზოგჯერ ითრგუნება გარეგანი, თავსმოხვეული კონიუნქტურის მიერ. ერთი სიტყვით, შიდა სტაბილიზაცია მხოლოდ ჩვენზე არ არის დამოკიდებული. არ არის გამორიცხული დესტაბილიზაცია სადღაც საგანგებოდ დაიგეგმოს კიდეც.

**გმადლობთ!**

**ესაუბრა მაია კუპატაძე.**

# ქაქუცას მემკვიდრეებმა გადაწყვიტეს

ქართველ ტრადიციონალისტთა კავშირში ასოცირებულ წევრად შესვლასთან დაკავშირებით, მოწვეულ იქნა ქაქუცა ჩოლოყაშვილის საზოგადოების საგანგებო დიდი დარბაზი, რომელმაც ამ წამოწყებას ერთსულოვნად დაუჭირა მხარი.

— ამ ნაბიჯით თქვენი საზოგადოება ხომ არ დაკარგავს თავის პირვანდელ დანიშნულებას, — შევეკითხე მის თავმჯდომარეს სოსო ჯაჯანიძეს.

— ქაქუცა ჩოლოყაშვილის საზოგადოება იყო ჩამოყალიბებული როგორც სამხედრო-პოლიტიკური ორგანიზაცია, — გვეუბნება ბატონი სოსო, — და თავისი დანიშნულება პირნათლად შეასრულა. ახლა პოლიტიკური სიტუაცია შეიცვალა, საქართველოს სათავეში ეროვნული ხელისუფლებაა. ქაქუცას საზოგადოებამ მას პირველმა ჩააბარა იარაღი. ახლად ჩამოყალიბებული ქაქუცა ჩოლოყაშვილის სახელობის პოლკის ძირითად ბირთვს შეადგენენ ჩვენი საზოგადოების წევრები. ამით ჩამოვიცილეთ სამხედრო-პოლიტიკური სტატუსი და გავხდით საზოგადოებრივი ორგანიზაცია, რომელმაც უნდა უპატრონოს ქაქუცას სახელს. რაც შეეხება ჩვენს გაერთიანებას ქართველ ტრადიციონალისტთა კავშირთან, ეს განაპირობა იმან, რომ ჩვენ ერთი და იგივე მიზნები გვაქვს. ეს არის მრავალსაუკუნოვანი ქართული პოლიტიკური და კულტურული ტრადიციის, ქართული ცივილიზაციის აღორძინება. ქაქუცა ჩოლოყაშვილის საზოგადოება არ „გაითქვიფება" ქართველ ტრადიციონალისტთა კავშირში. ჩვენ აქ გვექნება ავტონომია, გვრჩება წესდება, დროშა და გერბი. უბრალოდ, პოლიტიკურ საკითხებს შევათანხმებთ ქართველ ტრადიციონალისტთა კავშირის საკრებულოსთან.

**ზია კორძაძე**

**საქინფორმის კორესპონდენტი**

**გრძელდება** აშშ პრეზიდენტის ჯ. ბუშის ვიზიტი საბჭოთა კავშირში. გუშინ საბჭოთა და ამერიკის პრეზიდენტებმა ხელი მოაწერეს შეთანხმებას, რომლითაც 30%-ით შემცირდება სტრატეგიული ბირთვული იარაღი.

უმაღლესი დონის შეხვედრის პირველ დღეს მოლაპარაკების მთავარი თემა იყო პოლიტიკური და ეკონომიკური რეფორმები საბჭოთა კავშირში. ჯ. ბუშმა განაცხადა, რომ საბჭოთა კავშირს ანიჭებს შეერთებულ შტატებთან ვაჭრობაში უპირატესი ხელშეწყობის სტატუსს, მოსკოვის მიერ ემიგრაციის შესახებ კანონის მიღების სანაცვლოდ.

რაც შეეხება ბ. ელცინის უმაღლესი დონის შეხვედრაზე მიწვევისა და მისი არგამოცხადების ისტორიას: თავდაპირველად კრემლმა მოიწვია რუსეთის პრეზიდენტი, რომელსაც ყაზახეთის პრეზიდენტთან, ნ. ნაზარბაევთან ერთად, გორბაჩოვის ინიციატივით, უნდა წარმოედგინა საბჭოთა რესპუბლიკები. მაგრამ ელცინი გორბაჩოვ-ბუშის შეხვედრაზე არ გამოცხადდა. როგორც ჩანს, მან ამჯობინა მიწვეული ყოფილიყო ამ შეხვედრაზე, როგორც რუსეთის დემოკრატიულად არჩეული პირველი პრეზიდენტი და არა როგორც გორბაჩოვის დელეგაციის წევრი.

ელცინის წარმომადგენელმა დაასახელა მისი იქ არყოფნის ორი მიზეზი: ჯერ ერთი, რატომ უნდა ყოფილიყო ელცინი გორბაჩოვის დელეგაციის შემადგენლობაში, თუ ის მაინც აპირებდა ცალკე შეხვედრას ჯ. ბუშთან, და თუ მიიწვიეს ორი რესპუბლიკის ლიდერი, რა დააშავეს დანარჩენებმა?

ასე თუ ისე, როგორც ჟურნალისტები აღნიშნავდნენ, ეს იყო დარტყმა გორბაჩოვის თავმოყვარეობაზე. ელცინი 40 წუთის მანძილზე ცალკე ეთათბირა ბუშს, წინასწარ შეთანხმებულ და დანიშნულ შეხვედრაზე.

მოსკოვის უმაღლესი დონის შეხვედრაზე პირველად განიხილებოდა საბჭოთა რესპუბლიკების ცენტრისაგან დამოუკიდებლობის საკითხი. ჯ. ბუშმა ნათელყო, რომ ის დიდ მნიშვნელობას ანიჭებს რესპუბლიკების ფაქტორებს. ხუთშაბათს ის კიევში მიემგზავრება და შეხვდება უკრაინის ლიდერებს. არაფერი თქმულა იმის შესახებ, შეხვდება თუ არა აშშ პრეზიდენტი ბალტიისპირეთის რესპუბლიკების წარმომადგენლებს.

ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტის ოფიციალური

## საერთაშორისო ცხოვრება

ვიზიტის ფარგლებში მ. ს. გორბაჩოვი და ჯ. ბუში მეუღლეებითურთ ეწვივნენ სსრ კავშირის სახალხო მხატვრის ზურაბ წერეთლის სახელოსნოს.

●

ესტონეთის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარემ არნოლდ რუიტელმა განაცხადა, რომ ბალტიის ქვეყნების დელეგატები არ მიიღებენ მონაწილეობას ამერიკა-საბჭოთა კავშირის უმაღლესი დონის შეხვედრით გათვალისწინებულ ღონისძიებებში, თუ ისინი წარდგენილი იქნებიან, როგორც მოკავშირე რესპუბლიკათა დელეგაციები, რადგან ეს სტატუსი ეწინააღმდეგება ბალტიის რესპუბლიკების მიერ მიღებულ დამოუკიდებლობის დეკლარაციებს.

●

იუგოსლავიის ფედერალურმა პრეზიდენტმა, წარმოშობით ხორვატმა ს. მესიჩმა, უარი თქვა ბელგრადში დანიშნული პრეზიდიუმის სხდომაში მონაწილეობაზე, რითაც გამოხატა პროტესტი იმასთან დაკავშირებით, რომ იუგოსლავიის ვიცე-პრეზიდენტი, წარმოშობით სერბი ბ. კოსტიჩი, დანიშნეს ხორვატიაში ცეცხლის შეწყვეტის შეთანხმებებზე მეთვალყურეობის კომისიის თავმჯდომარედ.

●

ლიტვამ ცნო იუგოსლავიის რესპუბლიკების სლოვენიისა და ხორვატიის დამოუკიდებლობა. ლიტვის პარლამენტმა მიიღო რეზოლუცია, რომელიც მოუწოდებს ამ რესპუბლიკების მთავრობებთან პირდაპირი ურთიერთობის დამყარებისაკენ. ლიტველმა კანონმდებლებმა განაცხადეს, რომ მათი გადაწყვეტილება ემყარება მსოფლიოში აღიარებულ ერთა თვითგამორკვევის პრინციპს.

●

რუმინეთის პრალმანეტში ტარდება კენჭისყრა სახელმწიფო საწარმოთა პრივატიზაციის საკითხზე. ეს კანონპროექტი ითვალისწინებს სახელმწიფო საწარმოების 1/3-ის გადაცემას მოსახლეობისათვის, აქციების შესყიდვის გზით.

ამასთან ერთად გამოცხადდა, რომ უახლოეს მომავალში რუმინეთს მიანიჭებენ შეერთებულ შტატებთან ვაჭრობაში უპირატესი ხელშეწყობის სტატუსს.

**ირინა თევდორაშვილი**



**სურათზე:** მხატვარ ზურაბ წერეთლის სახელოსნოში არიან აშშ-სა და სსრკ-ს პრეზიდენტები მეუღლეებითურთ.

(საქდესი-საქინფორმი).

# იქნებ ცოტა გულს მოგვეშვას...

დღეს ბევრს წერენ იმ ავადმოსაგონარ 37 წელზე. ყოველი წერილის წაკითხვისას იხსნება გულში მიმალული ჩემი ჭრილობები. მინდა, ქვეყანას ვუთხრა, რაც ასე მაწვალებს. თქმის სურვილი განსაკუთრებით მაშინ მომეძალა, როცა 9 აპრილის ღამეს სიკვდილს ჩემი თვალით ვუყურე და „მოძმის" ჩექმებით მუხლებდაჩეჩქვილი დავბრუნდი შინ. იმ ღამის უდანაშაულო მსხვერპლმა კიდევ უფრო ამიწრიალა ფიქრები.

ასე უდანაშაულოდ მომაცილეს მშობელ მამას.

მაშინ 3 წლის ვყოფილვარ, დედის და მამიდის ნაამბობიდან ვიცი, იმ დღეს მამას საახალწლო ზეიმზე წავუყვანივარ. შინ დაბრუნებულს რამდენიმე წუთში თავს წამოსდგომიან სუკის თანამშრომლები და ოთახში ჩხრეკა ჩაუტარებიათ. ვერაფერი უპოვიათ, მაგრამ მამა მაინც წაუყვანიათ. დედისა და მამიდისთვის ტირილის ნებაც კი არ მიუციათ. ასე თვალის დახამხამებაში მომხდარა ყველაფერი. როდესაც მამა გადაასახლეს, დედა 22 წლისა იყო. ვინ იცის, რამდენი ცრემლიანი ღამე გაუთენებია, რამდენი დაკითხვა გადაუტანია, რათა თავისი ქმრის მოღალატეობა „ეღიარებინა". დიდხანს ვეძებე მამის გზა-კვალი, ხრუშჩოვსაც კი მივწერე წერილი და ასეთი პასუხი მივიღე: „საქმე ძიებაშია და შედეგს გაცნობებთ". ამ მწარე ირონიას კომენტარი არ სჭირდება.

რამდენი ასეთი ნაადრევად ბავ-,შვობადამთავრებული თუ ქალობაგაუხარელი ადამიანი ცხოვრობს ჩვენს გვერდით. ჩვენ ყველას გვანუგეშებს ის, რომ თავისუფალ საქართველოში აუცილებლად აიგება არა მხოლოდ 37 წელს, არამედ კომუნისტური დანაშაულებრივი რეჟიმის მიერ მთელი შვიდი ათეული წლის განმავლობაში უდანაშაულოდ რეპრესირებულთა მემორიალი, სადაც შეგვეძლება ყვავილები მივიტანოთ ჩვენი უსაფლავოდ დარჩენილი მახლობლების მოსაგონებლად. მე მამის, დავით კონსტანტინეს ძე კიკალეიშვილისა და მამამთილის გიორგი (ჟორა) ერისტოს ძე დუნდუას ხსოვნას ავუნთებ სანთლებს, სხვა კიდევ თავისი უდანაშაულოდ დასჯილი მამის, ძმის, მეუღლის თუ შვილის სულს შეავედრებს ღმერთს. ასეთი მემორიალის აგებით ეგება ცოტა გულს მოგვეშვას.

**ნანული კიკალეიშვილი**

**მიწათმოწყობის კვლევითი ინსტიტუტის თანამშრომელი**



# საქართველოს კომპარტიის ყოფნა-არყოფნის შესახებ



**„მე მსურს შური ვიძიო იმაზე, ვინც ციდან მმართველობს!“**

კ. მარქსი.

ყველასათვის ცნობილია აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებში, ე. წ. სოციალისტური ბანაკის ხალხებმა თუ როგორი ზიზღით უარყვეს მარქსისტულ-კომუნისტურ იდეებზე დაფუძნებული პარტიები, როგორც კი ამის საშუალება მიეცათ. სამწუხაროდ, საქართველოში ჯერ კიდევ საკმაო ძალა გააჩნია მარქსისტულ-ლენინურ მოძღვრებაზე აგებულ პარტიას. ამ აზრს ადასტურებს ის ფაქტი, რომ 1990 წლის 28 ოქტომბრის საქართველოს უზენაესი საბჭოს არჩევნებში კომუნისტებმა ხმების საერთო რაოდენობის 30% მიითვალეს, ესე იგი საქართველოში თითქმის ყოველმა მესამე მოქალაქემ კომუნისტებს დაუჭირა მხარი. გასაგებია, რომ ეროვნულ მოძრაობაზე გავრცელებული ჭორებით დაშინებულმა არაქართველთა დიდმა რაოდენობამ კომუნისტებს მისცა ხმა, მაგრამ რა ვუთხრათ საყოველთაოდ ცნობილ იმ პიროვნებებს, მწერლებს, მსახიობებს, სხვადასხვა დარგის პროფესორ-აკადემიკოსებს, რომელთა გვარებიც კომპარტიის საარჩევნო სიაში ელვარებდნენ? განა მათი კონსერვატორობის დამსახურება არ არის ის, რომ საზოგადოების გარკვეული ნაწილი თავისი ფესვებით, ღეროთი და ყლორტებით საქართველოსადმი მტრულად განწყობილი პარტიის მომხრეებად იქცნენ?

კომპარტიას ეროვნული მოძრაობის მიერ გამართულ მიტინგებზე სატანურ, ბოროტის მთესავ პარტიას ვუწოდებდით, რაც მისი ვანდალური საქმიანობით დასტურდებოდა. ამ ბოლო ჟამს კარლ მარქსის, კომუნიზმის თეორიული მოძღვრების ავტორის, პირდაპირი სატანური წარმომავლობა მტკიცდება საჯაროდ გამოქვეყნებული მასალებით. გაზეთ „ჩვენი მესიტყვე“-ს 1990 წლის ივნისის ნომერში დაიბეჭდა გიორგი მარჩენკოს წიგნის „კარლ მარქსის“ თარგმანის ფრაგმენტები, რომელშიც კარგად ჩანს, კარლ მარქსში ჩაბუდებულმა თუ რა ეშმაკისეულმა ბოროტმა სულმა შვა დედამიწაზე XX საუკუნის აპოკალიპსის დამტრიალებელი საზოგადოებრივი ანტიმეცნიერება, რომელიც შავი ჭირივით მოედო ადამიანთა მოდგმას და მას ქრისტეს სახარებით აკრძალული შვიდივე ცოდვა დაუკანონა.

კ. მარქსი ერთ დროს მორწმუნე ქრისტიანი ყოფილა. მის პირველ შრომას ეწოდება: „მორწმუნეთა შერწყმა ქრისტესთან იოანეს სახარების მიხედვით, მისი არსი, უცილობლობა და ზეგავლენა“. ამ ნაწარმოებში ასეთ აზრებს შეხვდებით: „ქრისტესთან შერწყმა შინაგანად გვამაღლებს, ტანჯვას გვიმსუბუქებს, გვამშვიდებს და ადამიანური სიყვარულისათვის, ყოველივე დიდებულისა და კეთილისათვის გადაგვიხსნის გულებს, არა პატივმოყვარეობის, არა სახელის მოსახვეჭად, არამედ ქრისტესათვის“

სტუდენტობის წლებში მარქსის მსოფლმხედველობამ სრული მეტამორფოზა განიცადა და იგი მტრულად დაუპირისპირდა თავად ღმერთს. თავის ერთ-ერთ ლექსში წერს: „მე მსურს შური ვიძიო იმაზე, ვინც ციდან მმართველობს“. ხოლო ლექსში „იმედგაწირულის შეგონება“ არის ისეთი სტრიქონები: „ჰო, ღმერთმა წამართვა ყოველივე ჩემეული, ბედის წყევლითა და ტანჯვით. ყოველი მისი ხილვა უკვალოდ გაქრა! მე მეტი არაფერი დამრჩენია, გარდა შურისძიებისა! მე ავაგებ ჩემს ტახტს, შემზარავი და ცივი იქნება მისი მწვერვალი, მისი ძირი — ცრუმორწმუნე თრთოლვაა, ცერემონმეისტერი — უკუნის აგონია. ვინც კი ცოცხალი თვალით შემომხედავს, პირს იქცევს სასიკვდილოდ ფერდაკარგული და ენაჩავარდნილი, ცივი და ბრმა სიკვდილით დაზაფრული მოიმზადებს მისდა სასიხარულოდ სამარეს“. მხოლოდ ქრისტეს უარმყოფელს, უფრო მეტიც, სატანის ეკლესიის მიმდევარს შეეძლო ასეთი აზრები ჰქონოდა და თუ გვსურს გავერკვეთ, რას ნიშნავს სატანის ეკლესია, მაშინ მოვუსმინოთ გიორგი მარჩენკოს: „არსებობს სატანის მიმდევართა ეკლესია. მის ერთ-ერთ რიტუალს წარმოადგენს „შავი მესა“, რომელსაც ქურუმი შუაღამისას ასრულებს. შავი სანთლები ინთება გადმოპირქვავებულ შანდლებში. ქურუმს მდიდრულად მორთული ტანსაცმელი უკუღმა აცვია. ყველაფერს, რაც კი ლოცვაში აქვს წასაკითხი, იგი უკუღმა კითხულობს, იესოს, მარიამის წმინდა სახელებიც კი უკუღმა იკითხება. ჯვარცმა თავდაყირა იკიდება ან ფეხით ითელება. შიშველი ქალის სხეული იქ საკურთხევლის როლს ასრულებს. წმინდა ოდიკი რომელიღაც ეკლესიიდან არის მოპარული, აწერია „სატანა“ და გამოიყენება „ცოდვების მოსანანიებლად“. „შავი მესის“ დროს წვავენ ბიბლიას. ყველა დამსწრე ფიცს დებს ჩაიდინოს შვიდივე ცოდვა, რომელიც კათოლიკურ კათეხიზმოშია ჩამოთვლილი, ასევე არასოდეს გააკეთოს კეთილი საქმე. შემდეგ იწყება ორგია.

„კომუნისტური პარტიის მანიფესტის“ ავტორი სატანას რომ დაემონა და ჯოჯოხეთურმა აზრებმა შეიპყრო, მის ერთ ლექსშიც კარგად მჟღავნდება: „ჯოჯოხეთის ორთქლი ტვინამდე აღწევს, ვიდრე ჭკუიდან არ შევიშლები და ჩემი გული ერთიანად არ შეიცვლება. ხედავ ამ ხმალს? წყვდიადის მეუფისგან ავიღე იგი“.

ასეთი ოდიოზური პიროვნების მიერ შექმნილი თეორია მოიმარჯვა ასევე ოდიოზურმა პიროვნებამ ვ. ი. ლენინმა (ულიანოვმა), რათა ძირმომპალი რუსეთის იმპერიის განახლება-მოდერნიზებაც მოეხერხებინა და ამავე დროს თავისი ტერორისტი ძმის ჩამოხრჩობისათვის რუსეთის იმპერატორ ნიკოლოზ მეორეზე და მის ინტელიგენციაზე შურიც ეძია. ის, რომ ლენინი მეფის ოჯახის, ქალებისა და სრულიად უდანაშაულო ბავშვების ამოწყვეტის ინიციატორია, მჟღავნდება მის ერთ-ერთ გამოსვლაში: „ინგლისსა და საფრანგეთში მეფეები სიკვდილით დასაჯეს ჯერ კიდევ რამდენიმე ასეული წლის წინათ, ეს მხოლოდ ჩვენ დაგვაგვიანდა ჩვენი მეფის სიკვდილით დასჯა“. (ტ. 28, გვ. 198).

თვლიდა რა სოფელს ბურჟუაზიის მძლავრ საყრდენად, ლენინმა მისი ტრადიციული არსის სრული მოსპობა განიზრახა: „ულმობელი ბრძოლა კულაკების წინააღმდეგ! სიკვდილი მათ! სიძულვილი და ზიზღი მათ დამცველ პარტიებს: მემარჯვენე ესერებს, მენშევიკებს და ახლანდელ მემარცხენე ესერებს“. (ტ. 28, გვ. 50). ფაქტობრივად ლენინმა ომი გამოუცხადა შრომისმოყვარე გლეხობას, ქვეყნის მოსახლეობის უდიდეს ნაწილს. თუ რა შედეგებით დამთავრდა ეს კამპანია, გარდა გონებადაბნელებულისა, ყველასათვის ნათელია. საყოველთაო შიმშილობის პირას მისული საბჭოთა იმპერიაა ამგვარი პოლიტიკის შედეგი.

ე. წ. მსოფლიო პროლეტარიატის ბელადი ყოველგვარი ეროვნულის დამთრგუნველი იყო. იგი სამშობლოს დაცვის წინააღმდეგაც კი ილაშქრებდა: „ის ფრანგი, გერმანელი თუ იტალიელი, რომელიც ამბობს: სოციალიზმი ერების მიმართ ძალდატანების წინააღმდეგია, ამიტომ მე თავს ვიცავ, როცა მტერი ჩემს ქვეყანას შემოესიაო, ღალატობს სოციალიზმს და ინტერნაციონალიზმს“. პროლეტარიატის ბელადი ბიოლოგიური ზიზღის გრძნობით იყო სავსე ინტელიგენციის მიმართ: „აიღეთ მთელი ინტელიგენცია. იგი ბურჟუაზიული ცხოვრებით ცხოვრობდა, იგი გარკვეულ კომფორტს იყო მიჩვეული. ჩვენი ლოზუნგი იყო ულმობელი ბრძოლა — ტერორი“.

საბჭოთა იმპერიის შემქმნელის ამგვარმა მსოფლმხედველობამ და პოლიტიკამ განაპირობა მის თანამებრძოლთა და გზის გამგრძელებელთა ზღვარგადასული ამბიციები და სახელმწიფოებრივ დონეზე ახალი დანაშაულებრივი მოღვაწეობა. ბუხარინი, ტროცკი, ძერჟინსკი, სტალინი და სხვანი ლენინის სამაგალითო მოწაფეები იყვნენ წითელი ტერორის განხორციელების საქმეში. არც ერთი მათგანი თავიანთი ქიმერული ოცნებების ასასრულებლად ხალხის დაუნდობელ და სასტიკ წვალებაში უკან არ იხევდა. ხომ ცნობილია, რომ ლევ ტროცკი, სტალინის პოლიტიკური მეტოქე, ყაზარმული სოციალიზმის თეორიებს აყალიბებდა და მათი განხორციელება რომ შესძლებოდა, ეშმაკმა უწყის, რა ცოდვებს დაატრიალებდა. მითუმეტეს, იგი მსოფლიოს პერმანენტული რევოლუციის მოქადაგე იყო და რუსულ ხიშტზე მთელი ქვეყნიერების წამოგება აბოდებდა. ბუხარინი კი, ამ ბოლო დროს რუსულ შოვინისტურ პრესაში დიდ ინტელიგენტად დახატული, მასიურ ჩამოხრჩობებსა და დახვრეტებს მიიჩნევდა რევოლუციისათვის აუცილებელ პროფილაქტიკურ ღონისძიებად. ლუნაჩარსკი, ბოლშევიკური მთავრობის განათლების მინისტრი, ასევე სათნო და მეცნიერ კაცად ზოგიერთთაგან მიჩნეული, ჭეშმარიტ ინტელიგენციაზე ზიზღით ამბობდა, ისინი იმიტომ ვერ გვიტანენ, რომ ხელები სისხლით გვაქვს მოსვრილიო.

განსხვავებული აზრისათვის კაცის კვლა ცოდვად არ მიაჩნდათ ბოლშევიკებს. არადა, რუსეთის იმპერიის ხალხთა უდიდესი ნაწილი სხვა სულისკვეთებისა და შეხედულებისა იყო. ამ ფაქტს არად აგდებდნენ ვამპირებად ქცეული პროლეტართა ბელადები. როცა სერგო ორჯონიკიძეს უთხრეს, საქართველოში მოსახლეობის 30% სამღვდელოება და თავადაზნაურობააო, მან ტირანულად ამოიბღავლა: „ნულამდე იქნას დაყვანილიო“. ხოლო ქართველი ერის თავისუფლებისათვის ბრძოლით გამძვინვარებული სტალინი, ვისი სიყვარულიც ზოგიერთებს ჯერ კიდევ გულიდან ვერ ამოუგდიათ, საქართველოში წარმოგზავნილ ჯალათებს ავალებდა, გადახანით და გადმოხანით საქართველოო.

როგორც ხედავთ, მარქსისტულ-ლენინურმა იდეოლოგიამ კაციჭამიებად ქცეული ქართველი კომუნისტები საკუთარი ერის გადაშენებისათვის მებრძოლებად აქცია.

იქნებ ბოლშევიკური რევოლუციის (უფრო სწორად გადატრიალების) ბელადის დიქტატორულ ტახტზე შემდგომ უფრო ჰუმანური, ადამიანისა და ერთა უფლებების პატივისმცემელი პიროვნებები დაბრძანდნენ? ისტორიული კანონზომიერებით ეს გამორიცხული იყო და ასეც მოხდა. საბჭოთა იმპერიას სტალინის შემდეგ ხელმძღვანელად მოევლინა თავისი ჭკუაარეულობით გამორჩეული პიროვნება ნიკიტა ხრუშჩოვი, ხალხში „სიმინდის მეფედ და „ღორად“ მონათლული. სტალინს ერთი სიკეთე კი უყო, მისი დაუმარხავი გვამი მიწაში ჩაფლო, მაგრამ ის, რისთვისაც აკრიტიკებდა სტალინს, თვითონ უფრო მასშტაბურად განახორციელა. ხომ ცნობილია, თუ ვისი ბრძანებით გახდა რუსული ხიშტისა და ტყვიის მსხვერპლი 1956 წელს თბილისსა და ბუდაპეშტში, ხოლო 1962 წელს ქალაქ ნოვოჩერკასკში ათასობით მშვიდობიანი დემონსტრანტი. იმავე 1962 წლის ოქტომბერში ხრუშჩოვმა კუბაში ფიდელ კასტროს ყაჩაღური მთავრობის დაცვის მიზნით საბჭოთა ატომური რაკეტები შეიტანა და ამერიკელებს ომით ემუქრებოდა. რომ არა პრეზიდენტ კენედის გააზრებული პოლიტიკა, მსოფლიო დაღუპვის საფრთხის წინაშე იდგა, რაც შეეხება ხრუშჩოვის ტახტიდან ჩამომგდებლის, ლეონიდ ბრეჟნევის მოღვაწეობას, მას საბჭოეთის ხავერდოვან ეპოქად თვლიან. მაგრამ [illegible] დავივიწყებთ 1968 წ[illegible]ის განმათავისუფლებელი მოძრაობის სისხლში ბანაობას და 1979 წელს ავღანეთის ოკუპაციას, რაც საბჭოთა არმიის მთავარსარდლად მყოფის, უშუალოდ ბრეჟნევის ბრძანებით მოხდა. ნურც იმას დავივიწყებთ, რომ ამ ლაფშა ლეონიდის ეპოქაში დისიდენტები და თავიანთი ქვეყნის პატრიოტები ფსიქიატრიულ საავადმყოფოებსა და ციხეებში იტანჯებოდნენ.

შემდეგ გახსოვთ, მოგვევლინა ანდროპოვი თავისი ცნობილი დისციპლინით. ისიც გახსოვთ, ალბათ, ხალხს ქუჩებში ისე იჭერდნენ, როგორც მახეში გაბმულ ჩიტებს, მაგრამ ეს „იმედის მომცემი ბელადიც“ ისე ჩაბარდა მიქელგაბრიელს, რომ იმპერიის დაქცეულ საქმეს ვერაფერი უშველა. ანდროპოვის შემცვლელი ჩერნენკო კი, ფიზიკურად და სულიერად რა მახინჯი პიროვნებაც იყო, ამას ალბათ მტკიცება არ სჭირდება.

და აი, დღეს საქმე გვაქვს საბჭოთა იმპერიის ისტორიაში არაორდინარული მონაცემების მქონე, გაქნილ და ნიღბებით თამაშის დიდოსტატ პრეზიდენტ-იმპერატორთან მიხეილ გორბაჩოვთან.

თავდაპირველად გორბაჩოვმა იმპერიის მართვის გაცვეთილ ფორმებს მიმართა. გახსოვთ, ალბათ, მის მიერ შემოღებული კანონი „უშრომელ შემოსავლებთან“ ბრძოლის შესახებ. ასევე ქვეყანაში წესრიგის დასამყარებლად ალკოჰოლიზმთან ტოტალური ომიც წამოიწყო, რამაც საბჭოთა სახელმწიფოს ეკონომიკური კატასტროფის პროცესი კიდევ უფრო დააჩქარა. რუსეთში კი, არყის ნაცვლად ოდეკოლონის, ათასნაირი მჟავას, ფეხსაცმლის მაზის ხვრეპაც კი დაიწყეს და საავადმყოფოები გამოიჭედა სასმელის მოყვარული დაავადებული ხალხით. მიხვდა ამხანაგი მიშა, საქმე ცუდად მიდიოდა. იმპერიის ხაზინა თოვლივით დნებოდა და დასავლეთის დახმარების გარეშე, სულ მალე, მშიერი ქვეშევრდომები ვირთხებივით დაესეოდნენ და დაღრღნიდნენ. ყოველივე ამან მოაფიქრებინა გარდაქმნა, რომელსაც დემოკრატიის ნიღაბი ჩამოაცვა. ცარიელი სიტყვების რახა-რუხზე არ დაუჯერეს მიშას ჭეშმარიტი დემოკრატიის სამყაროში, რაც გამოჩნდა ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტთან რონალდ რეიგანთან რეიკიავიკის შეხვედრის დროს. როცა გორბაჩოვს შეახსენეს, რომ ის ბოროტების იმპერიას განაგებს, რადგან აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების სუვერენიტეტს [illegible] ფეხქვეშ თელავს, რომ [illegible]ყანაში ჰყავს პოლიტპატიმრები, ავღანელ ხალხთან აქვს ყოვლად უსამართლო ომი და დაპყრობილ ერებს მხოლოდ გადაშენების უფლებას აძლევს, თუ იმ მოლაპარაკების შემდგომ გორბაჩოვის პრესკონფერენციას ტელევიზიით თვალს ადევნებდით, მაშინ გემახსოვრებათ საბჭოთა ბელადმა როგორ დაუბრახუნა მაგიდას ხელი და სიმწრით ამოიყვირა: «Они нас что, дураками считают?». მაგრამ სხვა გზა აღარ ჰქონდა, ჩათრევას ჩაყოლა ამჯობინა, რადგან ზოგიერთი თავისი წინამორბედივით ტვინი მთლად გადატვლეპილი არა აქვს და ე. წ. სოციალისტური ბანაკიც დაშალა, ავღანეთიდანაც კუდამოძუებით გამოვიდა, პოლიპატიმრებიც გაათავისუფლა, მაგრამ საბჭოთა „დერჟავას“ დაშლა ვერ წარმოუდგენია. აი რას ამბობს გორბაჩოვი 1990 წლის 21 ივნისს გამართულ რუსეთის კომპარტიის კონფერენციაზე: „ვერაფრით ვერ დავეთანხმები იმათ, ვინც რუსეთის ხსნას ეძებს განცალკევებაში, კარჩაკეტულობასა და თუნდაც სსრ კავშირიდან გასვლაში... რუსეთი შეიძლება იყოს და კიდევაც არის თავისთავადი და დიდი მხოლოდ კულტურათა და ენათა მაცოცხლებელი ძალით გარემოსილი... დაარღვიე ეს შეზრდილი ფესვთა სისტემა და ეს იქნება არა მთლად ის რუსეთი, ჩვენ რომ ნაანდერძევი გვაქვს და სათუთად უნდა გადავცეთ შთამომავლებს. ეს კარგად უნდა გავიაზროთ და უნდა გვახსოვდეს ჩვენ, რუსეთელებს“. ამ სიტყვებით კარგად მტკიცდება, რომ გორბაჩოვი და მისი აპარატი იმპერიის შესანარჩუნებლად ყველაფერს იღონებენ, რაც პრაქტიკულად ხორციელდება კიდეც. თბილისში 9 აპრილის სისხლიანი აქცია, ბაქოში საბჭოთა არმიის მიერ მოწყობილი სასაკლაო, ვილნიუსში ლიტველი პატრიოტების ხოცვა-ჟლეტა, სომხეთ-აზერბაიჯანის ინსპირირებული კონფლიქტი და ამ ბოლო დროს დამოუკიდებლობისათვის მებრძოლი სომხეთის წინააღმდეგ მოწყობილი სამხედრო აქციები, მოლდავეთში, ლატვიაში, ესტონეთში ინტერფრონტების ამოქმედება, საქართველოში ოს სეპარატისტთა მხარდაჭერა არის მოკლე ნუსხა კრემლის იმპერიული პოლიტიკის საჩვენებლად.

ყოველივე ზემონათქვამის ფონზე, საკავშირო კომუნისტური პარტიის ბაზაზე დაფუძნებული საქართველოს კომუნისტური პარტიის არსებობა ის ანომალიაა და საქართველოს საზოგადოების სხეულზე ის არაჯანსაღი მეტასტაზია, რომლის გაქრობაც მხოლოდ სიკეთეს მოიტანს.

საქართველოს კომპარტიაში ჯერაც ბევრი თვალსაჩინო ადამიანია. ისინი კომპარტიის რიგებში ყოფნას იმით ამართლებენ, რომ თითქოს კონსერვატორებს და არაქართველ სეპარატისტ-ექსტრემისტებს პარტიის ხელმძღვანელობის ხელში ჩაგდების საშუალებას არ აძლევენ, რაც ჩვენი აზრით დღევანდელ სიტუაციაში აბსურდული არგუმენტია. საქმე იმაშია, რომ კომპარტიამ საქართველოში რეალურად საბოლოოდ დაკარგა, როგორც სახელმწიფოს მართვის სადავეები, ასევე საზოგადოებრივი ავტორიტეტი. ასე რომ, რაც უფრო კონსერვატორების თავშესაყარი გახდება, მით უფრო დევალვირებული იქნება ხალხის თვალში. ამ აზრის დამადასტურებელია ორგანიზაცია „სტალინის“ ამასწინანდელი სამარცხვინო ისტორია. რაც შეეხება სეპარატისტ-ექსტრემისტებს, მათ უკვე დიდი ხანია შექმნეს თავიანთი ორგანიზაციები, ასე რომ, კომპარტია ვერავითარ როლს ვეღარ შეასრულებს როგორც მათ განეიტრალებაში, ისე გაძლიერებაში.

ბევრს აღარ გავაგრძელებ. საქართველოს კომპარტია ჩვენი სამშობლოს შავბნელი წარსულის, ბოლშევიკური ბატონობის გადმონაშთია. მის რიგებში ყოფნა სამარცხვინოა ყოველი ქართველისათვის, მისთვის, ვინც პატივს სცემს ერის სულს, ღირსებას ტრადიციებს და მხარს უჭერს საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობას.

**გია თვალავაძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა

პოლემიკა

# „განაღა თქვას ერთი, ორი, უმსგავსო და შორა-შორა, მაგრა იტყვის: „ჩემა სჯობსო." უცილოცილობს ვათა ჯორა"

## (პასუხი ერთნაირი ხელწერის ორ საგაზეთო წერილზე)

**მახვილობაში** გვაქვს „ახალგაზრდა ივერიელში" ა. წ. 25 ივლისს ბატონების რევაზ ხუნწარიას და ზურაბ ლოლაძის წერილი „ვინ ვინ არის ანუ ვის რა ამოძრავებს", აგრეთვე ამავე ნომერში, იქვე საქართველოს მწვანეთა პრეს-სამსახურის მიერ გამოქვეყნებული წერილი „აღშფოთებული და მორცხვი „აკადემიკოსების" საგაზეთო გამოსვლების გამო".

როგორც ხედავთ, ბატონებმა რევაზ ხუნწარიამ და ზურაბ ლოლაძემ ბრძოლაში „მძიმე-არტილერია" — პრეს-სამსახური ჩართეს. გასაგებია, ბატონებო! როდესაც ადამიანს უჭირს, ყველა ღონეს მიმართავს თავდაცვისათვის; მაგრამ მარტო ეს არ უნდა იყოს მიზეზი ძალთა მობილიზაციისა. მოგეხსენებათ, რომ პრეს-სამსახური ჩვეულებრივ, რიგით მოკვდავთ იშვიათად ექომაგება ასეთი თავგამოდებით. ასეთი პატივი „დიდ კაცთა" ხვედრია. სწორედ ამაზე მიგვანიშნებს წერილი. ამასთან, დაუფარავი მუქარაც გამოსჭვივის წერილის შინაარსიდან, რაზედაც ოდნავ მოგვიანებით ვიტყვით.

ღმერთმა დაგვიფაროს გამოქვეყნებული წერილების ყოველი ცალკეული მოსაზრების განხილვისაგან. ეს უბრალოდ დროის ფუჭი ხარჯვა იქნება, რადგან მათში მოტანილი არგუმენტები და კონტრარგუმენტებიც, რომელნიც ჩვენი და სხვა ავტორების მიერ იქნა გამოქვეყნებული, კარგად არის ცნობილი დაინტერესებული მკითხველისათვის. ჩვენ მხოლოდ წერილებში მოყვანილ ორ მოსაზრებას შევეხებით, რომელნიც შინაარსობრივად გაჯრილი ვაშლივით ჰგვანან ერთმანეთს.

თურმე ჩვენ აკადემიაში არჩევის ფაქტს იმიტომ „ვმალავთ", რომ არ გვინდა საზოგადოებამ გაიგოს თუ როგორ ვყვლეფავთ „საქართველოს ესოდენ მწირ ბიუჯეტს", საუბარია იმ ჰონორარზე, რასაც აკადემიის წევრ-კორესპონდენტი იღებს. მოხერხებულად არის გამიზნული საქმეში ჩაუხედავი მკითხველის აღსაშფოთებლად — ესენი ვინ ყოფილან, ქვეყნის ეკონომიკას ასე უჭირს და ეს ხალხი აკადემიის შექმნით მდიდრდებაო, ფუნებლივად გაიფიქრებს მკითხველი. ბატონო რევაზ, ბატონო ზურაბ, და თქვენც, პრეს-სამსახურის პატივცემულნო მესვეურნო, რატომ „გამოგრჩათ" საზოგადოებისათვის გეცნობებინათ ჰონორარის რაოდენობა, რომელსაც ვიღებთ? იმიტომ ხომ არა, რომ ის იმდენად უმნიშვნელოა, მართლაც მხოლოდ სიმბოლური ხასიათი აქვს! ბატონები რევაზ ხუნწარია და ზურაბ ლოლაძე ხშირად მოიხსენებენ „ცივილიზებულ ქვეყნებს", ამიტომ ჩვენც ერთ-ერთი ცივილიზებული ქვეყნის ვალუტაზე გადაყვანით გაცნობთ ჩვენს ჰონორარს — აკადემიის წევრ-კორესპონდენტი თვეში 5 დოლარსა და რამოდენიმე ცენტს იღებს. ასე რომ, აკადემიის 11 წევრ-კორესპონდენტის და ერთი ნამდვილი წევრის ჰონორარი თვეში 70 დოლარსაც არ შეადგენს. და კიდევ — ჩვენი აკადემიაში არჩევის დამალვის ბრალდება, ძალზე რბილად რომ ვთქვათ, იმიტომაც არ შეეფერება სინამდვილეს, რომ როგორ შეიძლება ის დაიმალოს, რაც პრესაში გამოქვეყნდა (იხ. 26. 03. 91. გაზეთი „რესპუბლიკა").

ახლა კი უმთავრესი. მაინც რა არის ძირითადი მოტივი ორივე წერილისა? რა და ის, რომ ბატონი რევაზ ხუნწარია და ბატონი ზურაბ ლოლაძე უპრინციპობაში ვამხილეთ, ჰოდა უპრინციპო კაცს სიმართლეც რომ წამოსცდეს, ისიც აღარ დაიჯერება, ამიტომ ყოველნაირად ცდილობენ (აქ „მძიმე არტილერიაც" მოიშველიეს) აქეთ გადმოგვაბრალონ უპრინციპობა და სიცრუეში დაგვდონ ბრალი.

ჩვენ არა გვაქვს პატივი დამცველად პრეს-სამსახური მოვიშველიოთ, ამიტომ ვეცდებით ფაქტებით დავანახოთ მკითხველს, რომ სწორედ ბატონმა რევაზ ხუნწარიამ და ბატონმა ზურაბ ლოლაძემ უპრინციპობას სიცრუეც დაუმატეს. წერილის ბოლო აბზაცში ბატონებს რევაზ ხუნწარიას და ზურაბ ლოლაძეს 11 ივლისს ჩვენს მიერ გამოქვეყნებული წერილის ბოლო ცხრა სტრიქონიანი აბზაციდან მოაქვთ იქიდან ამოგლეჯილი მხოლოდ ოთხი სტრიქონი — „აგრარიკოსთა აბსოლუტურმა უმრავლესობამ თავიანთი ნება უკვე გამოხატა აკადემიის აღდგენით". ბუნებრივია, ამის წამკითხავი ქართველი გლეხი იტყვის — „ჩემთვის არავის არაფერი უკითხავსო"! ხედავთ, რა შეუძლია „ლიტერატურულ ჟონგლიორობას"! ახლა კი მოვისმინოთ ჩვენ როგორ ვწერთ: „რაც შეეხება იმას, რომ თანამედროვე პირობებში როგორი უნდა იყოს აგრარული მეცნიერების მართვის სისტემა, ეს საკითხი ამ სფეროში მოღვაწე **მეცნიერთა** გადასაწყვეტია; აგრარიკოსთა აბსოლუტურმა უმრავლესობამ თავიანთი ნება უკვე გამოხატა აკადემიის აღდგენით". ადამიანს აბსოლუტურად არ უნდა გააჩნდეს ობიექტურობის გრძნობა, რომ ვერ დაინახოს — საუბარია აგრარულ მეცნიერებათა სფეროში მოღვაწე სპეციალისტებზე და არა საერთოდ აგრარულ დარგში დასაქმებულ ხალხზე! ან იქნებ ბატონებს — რევაზ ხუნწარიას და ზურაბ ლოლაძეს ეჭვი ეპარებათ იმაში, რომ მეცნიერთა აბსოლუტურმა უმრავლესობამ დაუჭირა მხარი აკადემიის აღდგენას? თუ ეს ასეა, მაშინ მათ უნდა შევახსენოთ, რომ სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის აღდგენის მიზანშეწონილობას მხარი დაუჭირა რესპუბლიკის სამივე აგრარულმა უმაღლესმა სასწავლებელმა და ყველა სამეცნიერო-კვლევითმა ინსტიტუტმა თუ საპროექტო-ტექნოლოგიურმა ორგანიზაციამ (რომელთა ჩამოთვლა შორს წაგვიყვანს). ამის ფაქტობრივი შემოწმება ყოველთვის შეიძლება. რასაკვირველია, იქნებოდა „აგრობიოლოგიური მიმართულებით მოღვაწე კანტი-კუნტად" შემორჩენილი მეცნიერები (რომელთა გვარების ხსენებასაც თქვენ ჯიუტად არიდებთ თავს), რომელთაც ალბათ უფრო სუბიექტური მიზეზების გამო არ სურდათ აკადემიის აღდგენა. მერე და განა ამ რამდენიმე კაცის აზრი უნდა გამხდარიყო გადამწყვეტი?

პრეს-ცენტრის მიერ გამოქვეყნებული წერილის ბოლოს ლაპარაკია მწვანეთა „წმენდის" შესახებ. ჩვენ არ ვიცით ეს ფრაზა ვისი მისამართითაა დაწერილი, მაგრამ ერთი რამ კი უნდა მოგახსენოთ: ამ წერილის ერთ-ერთი ავტორი გახლდათ ინიციატორი საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტში (ამჟამინდელ უნივერსიტეტში) მწვანეთა მოძრაობის პირველადი ორგანიზაციის შექმნისა. მოძრაობაში 20 კაცი გაერთიანდა, ძირითადად პედაგოგები, მიუხედავად იმისა, რომ სტუდენტობას დიდი სურვილი ჰქონდა მწვანეთა მოძრაობაში გაერთიანებისა. და იცით რამ შეუშალა ხელი სტუდენტებს — საწევრო გადასახადმა, ამჟამად არ ვიცით, მაგრამ მაშინ ერთდროულად უნდა შეგეტანა 15 მანეთი — ხუთი მანეთი გაწევრიანების, ათი მანეთი წლიური საწევრო, ასეთ გადასახადს კომკავშირიც არ ახდევინებდა სტუდენტობას. ამის შესახებ რამდენიმეჯერ მივმართეთ პირადად ბატონ რევაზ ხუნწარიას, მაგრამ უშედეგოდ — გადასახადი სტუდენტებისათვის არ შემცირებულა. მე მგონია ეს ფაქტი ბატონ რევაზს კარგად უნდა ახსოვდეს და თუ ვერ გაიხსენებს, მაშინ ეს უკვე სცილდება გულმავიწყობის ზღვარს.

ასე რომ, „დაბეჯითებით გთხოვთ, თავი შეიკავოთ" — და თითს ნუ გვიქნევთ, რადგან თქვენი სიტყვებით რომ ვთქვათ: „ასეთი მეთოდების დრო წავიდა და საბედნიეროდ სამუდამოდ ჩაბარდა ისტორიას".

დასასრულ გვსურს პრეს-სამსახურს მივმართოთ. თქვენ გვიკიჟინებთ — 11 ივლისს ჩვენს მიერ გამოქვეყნებულ წერილის ხელმოწერისას არ აღვნიშნეთ აკადემიაში არჩეულები რომ ვართ. უპრიანი იქნებოდა ბატონ რევაზ ხუნწარიასთვის გერჩიათ, პრესაში სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა საკითხებზე „ავტორიტეტული" მოსაზრების გამოქვეყნებისას ნუ ამოეფარება საქართველოს მწვანეთა მოძრაობის თანათავმჯდომარის აზრას. იქვე, წერილის სათაურის ქვეშ ამცნოს საზოგადოებას, რომელი სფეროს მეცნიერებათა დოქტორი და პროფესორია. ამით იგი დიდ საქმეს გააკეთებს: ჯერ ერთი, მკითხველი წერილის წაკითხვისაგან თავს შეიკავებს და 15-20 წუთს დაზოგავს, ჩვენს დაძაბულ დროში კი ეს მცირე არ არის; ხოლო, რაც მთავარია, ნათლად გამოჩნდება „ვინ ვინ არის ანუ ვის რა ამოძრავებს".

**პროფესორები: გურამ ალექსიძე, ოთარ ზარდალიშვილი, ოთარ ონიანი.**

# ოცნების ფარჩა



ადამიანი, ალბათ, იმიტომ დაიბადა, რომ მიწაზე იცხოვროს და ცის უსასრულობაზე კი იოცნებოს. ამიტომ არის, რომ ყველაზე ღრმა ფესვებით მიწას ვართ მიჯაჭვული და ყველაზე წმინდა კი ცაში გვეგულება. ალბათ, იმიტომაცა გვაქვს ცისა და მიწის პოეზია, გვყავს ცისა და მიწის პოეტები.

ორი სასუფეველი გვწამდა ყოველთვის — მიწისა და ცისა. ორი საწყისია მაინც მთავარი — მიწა და ცა, ცა და მიწა... მიწაზე მყოფი ადამიანი ცას ელტვის, ცაში მყოფი კი — მიწას.

ცისა და მიწის პოეზიის განცდა მაშინ მომეძალა, როცა წავიკითხე გენიალური შოთა და ტატო, ბრძენი ილია და ვაჟა, აკაკი და გალაკტიონი, გიორგი ლეონიძე და ტიციან ტაბიძე, ლადო ასათიანი და მირზა გელოვანი, ანა კალანდაძე და შოთა ნიშნიანიძე, მუხრან მაჭავარიანი და მურმან ლებანიძე... ესენი ყველანი ცისა და მიწის პოეტებად მესახებიან.

მაშინაც თიბათვე იდგა. ნატო ვაჩნაძის ტრაგიკული აღსასრულის დღე... 38 წლის წინ ცის სილაჟვარდეს შელეწილი სილამაზის დედოფალი გამახსენდა და ქართული პოეზიის თვალმარგალიტები, რომლებიც სხვადასხვა დროს ნატო ვაჩნაძეზე დაიწერა, ჩემს წინ ჩამოიმარცვლნენ. განსაკუთრებით გულს მოეფონა საქართველოს სახალხო პოეტის გიორგი ლეონიძის ლექსები.

სილამაზის ქალღმერთ ნატოს რამდენიმე ლექსი მიუძღვნა გიორგი ლეონიძემ. ორი მათგანის ხელნაწერი გურჯაანში, ნატო ვაჩნაძის მემორიალურ მუზეუმშია დაცული. ერთი წიგნზეა წარწერილი, მეორე ექსპრომტულია და სახელდახელოდ არის გადატანილი ქაღალდზე.

1944 წლის 9 იანვარს გიორგი ლეონიძეს ნატოსათვის ლექსების წიგნი უჩუქებია და ზედ ასეთი სტრიქონები წაუწერია:

**რაც ცივგომბორის მთას**
**უთქმელი დარჩა,**
**რაც ალაზნის ველს დარჩა**
**ხათქმელი —**
**ის შენში არის! — ოცნების**
**ფარჩა**
**და სილამაზის ნაზი ნამქერი.**
**მახსოვს პირველი შენთან**
**შეხვედრა,**
**ვუსმენდი ყველა ხიდან**
**ბულბულებს.**
**შენი დობა და შენი შეხედვა**
**მას აქეთია მე მახულდგუმლებს.**

გიორგი ლეონიძე ექსპრომტების ოსტატიც იყო და, ბუნებრივია, ეს ნატო ვაჩნაძისადმი მიძღვნილი ექსპომტიდანაც ჩანს:

**დაო, ალაზნის დობილო,**
**ივრის ძმა მოგეხალმები,**
**შენზე ლექსების წერაში,**
**ბევრს გაგვეცვითოს კალმები.**

როცა ნატოს სახით „ვარსკვლავი მოსწყდა ვარსკვლავეთს", გიორგი ლეონიძემ ასეთი შთაგონებით დაიტირა იგი:

**რათ გავიგონე ის ხმა საზარი,**
**იმ დღეს გრაგანი ცათა**
**ლეწვისა...**
**ნეტავი გომბორს მიეცეს ძალა**
**ხელახლა შენი გამოძერწვისა...**
**შენი გომბორი, შენი კახეთი,**
**უშენოდ ვიხლა შევამკობინოთ**
**ტკბილი და მწარე მოგონება ხარ**
**ნატავ, ოცნებავ, ჩემო დობილო.**

ალბათ, ამაშიც არის რაღაც კანონზომიერება, რომ ორმა სასუფეველმა დაისაკუთრა ნატო ვაჩნაძე, რომლის ხატების გიორგი ლეონიძისეული ალქმა ალაზანივით წყალუხვია, კავკასიონივით მაღალი და ქართველი კაცივით გულმართალი.

**ლელა ჯავახიშვილი**

**სურათზე: ნატო ვაჩნაძე.**
**ისააკ ტორის ფოტო**


**93-38-52**

**გაზეთ „შანსის" რედაქციის კომპიუტერული ცენტრი მსურველებს სთავაზობს წიგნების აწყობას და დაკაბადონებას.**

**შეკვეთები მიიღება როგორც ნაღდ ანგარიშზე (ორგანიზაცია-დაწესებულებისგან და ცალკეული ავტორებისაგან), ასევე გადარიცხვით.**

**ჩვენი მისამართია: თბილისი, კოსტავას 14. გაზეთ „შანსის" რედაქცია.**

**ტელეფონები: 93-38-52, 99-94-65.**

**99-94-65**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# საჭადრაკო მიმოხილვა

### წარმატებები საზღვარგარეთ

ამ ბოლო დროს საქართველოს მოჭადრაკეებმა მოუხშირეს მონაწილეობას საზღვარგარეთის ქვეყნების საერთაშორისო ფესტივალებსა და ტურნირებში.

ივლისის დამდეგს ამერიკის შეერთებული შტატების ქალაქ ფილადელფიაში მოეწყო ტრადიციული ფესტივალი. ამჯერად 300-ზე მეტი მოჭადრაკე ჩაება ბრძოლაში, მათ შორის ქართველი დიდოსტატები და ოსტატები იყვნენ.

ტურნირში, რომელიც შვეიცარიული სისტემით (9 ტურად) ჩატარდა, მონაწილენი რეიტინგების მიხედვით სამ ჯგუფად დაიყვნენ.

პირველ ჯგუფში წარმატებით გამოვიდა დიდოსტატი ზურაბ აზმაიფარაშვილი, რომელმაც 7 ქულით V ადგილი დაიკავა. ზურაბმა 6 პარტია მოიგო, ერთი წააგო და ორი ყაიმით დაამთავრა. კარგად ითამაშეს აგრეთვე საერთაშორისო ოსტატმა გია გიორგაძემ —6 (+4—1=4), გენადი ზაიჩიკმა და ლაშა ჯანჯღავამ — 5,5-5,5. გენადიმ ხუთი პარტია მოიგო, სამი წააგო, ერთი ყაიმით დაამთავრა, ხოლო ლაშამ ოთხი მოიგო, ორი წააგო და სამში ყაიმზე შეთანხმდა.

მეორე ჯგუფში საუცხოოდ ითამაშა ოსტატმა თამაზ ტაბატაძემ, რომელმაც 6 (+5—2=2) ქულით II-V ადგილები გაიყო. ოსტატმა აკაკი იაშვილმა 5,5 (+5—3=1) ქულა დააგროვა. საინტერესო იყო თამაზის შეხვედრა ნიუ-იორკის ჩემპიონთან, დიდოსტატ რომან ჯინჯიხაშვილთან, რომელიც ყაიმით დასრულდა.

უფრო თვალსაჩინო წარმატებას მიაღწიეს ქართველმა მოჭადრაკეებმა ბადენ-ბადენის (გერმანია) ტრადიციულ ფესტივალში, სადაც ამერიკიდან ჩავიდნენ. ეს ტურნირიც შვეიცარიული სისტემით (9 ტურად) მოეწყო. ბრძოლაში 200-ზე მეტი მოჭადრაკე მონაწილეობდა.

საქართველოს მოჭადრაკეებმა ტრიუმფალურად გაიმარჯვეს. მათ არავის დაუთმეს პირველი შვიდი ადგილი. I-IV ადგილები გაიყვეს გია გიორგაძემ, საერთაშორისო ოსტატმა ზურაბ სტურუამ, დიდოსტატებმა ნინო გურიელმა და ნონა გაფრინდაშვილმა — 7,5 ქულა თითოეულს (კოეფიციენტთა ცხრილით ისინი ასეთი თანმიმდევრობით განლაგდნენ შედეგების დასკვნით ცხრილში), V-VI ადგილები დაისაკუთრეს გენადი ზაიჩიკმა, დიდოსტატმა ქეთევან კახიანმა — 7-7, VII ადგილი ლაშა ჯანჯღავამ — 6,5.

ამჟამად შვეიცარიაში კიდევ ერთი ტრადიციული საერთაშორისო ფესტივალი მიმდინარეობს. აქ უმაღლესი რეიტინგის მქონე მოჭადრაკეთა ტურნირში გამოდიან მსოფლიო ჩემპიონი მაია ჩიბურდანიძე, დიდოსტატები ნანა ალექსანდრია და ქეთევან არახამია.

### ევროპის ჩემპიონები

გვახარებენ ჩვენი ნორჩი მოჭადრაკე გოგონები. მაისში რუმინეთის ქალაქ მამაიაში გამართულ გოგონათა ევროპის პირველობაში ჩემპიონის სახელები მოიპოვეს: 12 წლის გოგონათა შორის ქუთაისელმა სოფიკო ტყეშელაშვილმა (მწვრთნელი ალექსანდრე რაზოვსკი), 14 წლის გოგონათა შორის თბილისელმა მაია ლომინეიშვილმა (მწვრთნელი — საქართველოს დამსახურებული მწვრთნელი გიორგი მაჭარაშვილი).

### დიდი აღიარება

შორეულ არგენტინაში დასრულდა ეტიუდისტთა საერთაშორისო კონკურსი, რომელიც 1987-1990 წლებში მიმდინარეობდა. ამას წინათ ჟურნალმა „ელედრეს დე ესტილომ", რომელიც ბუენოს-აირესში გამოდის, გამოაქვეყნა შედეგები.

დიდი წარმატება ხვდა წილად დიდოსტატს საჭადრაკო კომპოზიციაში, საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტის მასწავლებელ დავით გურგენიძეს. ექვსიდან სამი პრიზი (მეორე, მესამე, მეექვსე) მისმა ეტიუდებმა დაიმსახურეს. ჟურნალი ხაზს უსვამს ნიჭიერი ეტიუდისტის მდიდარ შემოქმედებით ფანტაზიას, უზადო ტექნიკას.

გორელი დიდოსტატის იოსებ კრიხელის (იგი 1988 წელს გარდაიცვალა) ნამუშევრებმა V პრიზი მოიპოვა. საპატიო და საქებო შეფასებებით აღინიშნა რევაზ თავარიანისა და საერთაშორისო ოსტატ ველიმირ კალანდაძის ნამუშევრები.

### ამბობენ ფიშერიც...

1979 წელს მოულოდნელად ჭადრაკს ჩამოსცილდა გამოჩენილი ბრაზილიელი დიდოსტატი ანრიკო მეკინგი. ამბობდნენ, მას დისტონიული სინდრომი ჰქონდა. და აი, 12 წლის შემდეგ ენრიკო მეკინგი დიდ ჭადრაკს დაუბრუნდა.

ახლა ამბობენ, რომ რობერტ ფიშერიც აპირებს დაუბრუნდეს დიდ ჭადრაკს. ბოლო ცნობით იგი გერმანიაშია და ბევრ დროს უთმობს საჭადრაკო მომზადებას, აანალიზებს კასპაროვ-კარპოვის მატჩის პარტიებს.

### კორჩნოი ბრალს სდებს

1976 წელს ლენინგრადელი დიდოსტატი ვიქტორ კორჩნოი იძულებული იყო დაეტოვებინა საბჭოთა კავშირი. მას აშკარად ავიწროებდნენ, ხელს უშლიდნენ მსოფლიო პირველობისათვის ბრძოლაში. მერე, შვეიცარიაში რომ დასახლდა, კორჩნოიმ აისრულა ოცნება, ორჯერ გახდა პრეტენდენტი, მაგრამ კარპოვთან ვერაფერი გააწყო.

ამას წინათ კორჩნოი აღადგინეს საბჭოთა მოქალაქის უფლებებში, მაგრამ იგი არ ჩქარობს უკან დაბრუნებას.

მსოფლიოში დიდი გამოხმაურება ჰქონდა კორჩნოის ავტობიოგრაფიულ წიგნს „ანტიჭადრაკი", რომლის თავების ბეჭდვას შეუდგა ჟურნალი „შახმატი ვ სსრ" (იხ. № 6). აქ, სხვათა შორის, კორჩნოი ჰყვება კარპოვთან თავისი მატჩის პერიპეტიებზე, რაც ცალმხრივად შუქდებოდა საბჭოთა პრესაში. მანამდე ჟურნალმა (№№ 3, 4, 5) გამოაქვეყნა კორჩნოის წერილი „ავაზაკის ჩანაწერები", სადაც იგი ბრალს სდებს საბჭოთა საჭადრაკო ორგანიზაციას, ცალკეულ მოჭადრაკეებს სამშობლოდან მის გაძევებაში.

### პრეტენდენტთა ორთაბრძოლები

როგორც იცით, გარი კასპაროვმა 1993 წელს უნდა დაიცვას მსოფლიო ჩემპიონის ტიტული უძლიერეს პრეტენდენტთა შეხვედრაში. ამჟამად კი მიმდინარეობს პრეტენდენტთა ორთაბრძოლები.

10 აგვისტოს ბრიუსელში (ბელგია) ერთდროულად დაიწყება პრეტენდენტთა მეოთხედფინალური მატჩი, რომლებშიც ერთმანეთს შეხვდებიან ანატოლი კარპოვი—ვისვანატჰან ანანდი (ინდოეთი), იან ტიმანი (ჰოლანდია) — ვიქტორ კორჩნოი (შვეიცარია), ვასილი ივანჩუკი — არტურ იუსუპოვი, ბორის გელფანდი (სამივე — სსრ კავშირი — ნაიჯელ შორტი (ინგლისი).

თითოეულ მატჩში 8 პარტია გათამაშდება.

მიმომხილველები გულდასმით განიხილავენ მეტოქეთა შანსებს. პირველ მატჩში უპირატესობას ანიჭებენ კარპოვის მდიდარ გამოცდილებას, თუმცა ამას წინათ 21 წლის ანანდმა მოუგო მას პარტია ლინარესის საერთაშორისო ტურნირში. დანარჩენ შეხვედრებში ძნელია გამარჯვებულის გამოცნობა, თუმცა ზოგი მიმომხილველი ფიქრობს, რომ ნახევარფინალში თამაშის მეტი შანსი აქვთ 60 წლის კორჩნოის, 22 წლის ივანჩუკსა და 23 წლის გელფანდს.

ნახევარფინალური და ფინალური მატჩები გაისად გაიმართება.

**თენგიზ გიორგაძე,**
**საერთაშორისო არბიტრი.**

# სპორტული მოზაიკა

როგორც ადრე შეგპირდით, ჩვენი გაზეთი, შეძლებისდაგვარად, მოაწვდიდა ფეხბურთის მოყვარულთ ახალ-ახალ ინფორმაციას შვეციის ეროვნულ ჩემპიონატზე. მოგეხსენებათ, რომ ამ ქვეყნის პირველობაზე მოასპარეზე კლუბ „სუნდსვალის" შემადგენლობაში საკმაოდ წარმატებით თამაშობენ ქართველი ფეხბურთელები — **სოსო ჭედია და კახი ცხადაძე**. ერთ-ერთ უკანასკნელ ტურში, „სუნდსვალმა" გათამაშების ერთ-ერთ ლიდერს „მალმიოს" უმასპინძლა და მიუხედავად მარცხისა — 0:1, ორივე ქართველმა ფეხბურთელმა შესანიშნავი შთაბეჭდილება დატოვა. აღსანიშნავია, რომ კახი ცხადაძემ, რომ იტყვიან, ფეხი არ გაანძრევინა სტუმართა გუნდისა და შვეციის ეროვნული ნაკრების ცენტრფორვარდს მარტინ დალინს. ცხადაძის მჭიდრო პერსონალურმა მეურვეობამ ისე „გაამწარა" დალინი, რომ მეორე ტაიმის დასაწყისში აშკარა უხეშობაზე გადავიდა და... სულ მალე კახი ცხადაძე საკაცეთი გაიყვანეს მოედნიდან; დალინი კი იმავე წუთს მოედნიდან იქნა გაძევებული. აქვე გვინდა დავამატოთ, რომ შვეციის ეროვნული ჩემპიონატის ბოლო ორი ტურის საუკეთესო ფეხბურთელებად დასახელებულნი არიან შვედი კენტ ანდერსონი და კახი ცხადაძე...

რაც შეეხება ტრავმას, იგი მთლად სერიოზული არ აღმოჩნდა და, ალბათ, ერთი კვირის შემდეგ, კახი ცხადაძე მწყობრში ჩადგება და ამოუდგება მხარში სოსო ჭედიას, რომლის თამაშიც ასევე მაღალ შეფასებას იმსახურებს შვედ სპეციალისტებში.

●

საფრანგეთში დამთავრდა პრესტიჟული ველორბოლა **„ტურ დე ფრანსი"**. საბოლოოდ გამარჯვება წილად ხვდა ესპანელ ველოსიპედისტს მიგელ ინდურაინს, რომელმაც ამ სახეობის ყველა ვარსკვლავი ჩამოიტოვა უკან — ჯანი ბუნიო, კლაუდიო კიაპუჩი (ორივე — იტალია), შარლ მოტე, ლორან ფინიონი (ორივე — საფრანგეთი), შონ კელი, სტეფან როჩი (ორივე — ირლანდია), პედრო დელგადო (ესპანეთი), გრეგ ლემონდი (აშშ) და სხვები.

●

ფრანს-პრესის სააგენტომ გამოაქვეყნა ჩოგბურთელ ვაჟთა საუკეთესო ათეულის ახალი სია, სადაც უმნიშვნელო ცვლილებები მოხდა. ადგილები გაცვალეს გერმანელმა მიხაელ შტიხმა და ჩეხმა ივან ლენდლმა, ხოლო ამერიკელი მაიკლ ჩანგის ნაცვლად ათეულში შევიდა შვედი მაგნუს გუსტაფსონი. პირველ ადგილს კი კვლავ გერმანელი ბორის ბეკერი ინარჩუნებს.

●

ლიტვაში დამთავრდა ეროვნული ჩემპიონატი ფეხბურთში, რომელიც ისევე როგორც შარშან, ვილნიუსის „ჟალგირისის" გამარჯვებით დამთავრდა. თუმცა, გუნდიდან მხოლოდ სახელიღა დარჩა — ამ ბოლო ორი წლის განმავლობაში თითქმის ყველა ყოფილმა წევრმა რესპუბლიკის ფარგლებს გარეთ აირჩია თამაში — ზოგი ისრაელში გაემგზავრა, ზოგი პოლონეთში; ყველაზე პრესტიჟულ კლუბში — ვენის „აუსტრიაში" თამაშობენ ივანაუსკასი და ნარბეკოვასი. არანაკლები რაოდენობით თამაშობენ „ჟალგირისის" ყოფილი მოთამაშეები საბჭოთა კავშირის ჩემპიონატშიც. ასე, მაგალითად, მოსკოვის „ლოკომოტივში" თამაშობენ კონციავიჩუსი, იანონისი, მაჟეიკისი, ფრიდრიკასი და შუგჟდა, ტაშკენტის „პახტაკორში" — ბალტუშნიკასი და კვიტკაუსკასი, კიევის „დინამოში" — მარტინკენასი, რიგის „პარდაუგავაში" — ბრიაუნისი და რუზგისი, კიშინოვის „მიზბრულში" — ბუზმაკოვი და ტაუტკუსი... მთავარი მწვრთნელი კი „ჟალგირისს" იგივე ჰყავს — ბენიამინას ზელკიავიჩუსი.

# უშენოდ



**ძნელია წერო შენზე წარსულში, წლევანდელ 29 ივლისს პირველად ვხვდებით შენს დაბადების დღეს უშენოდ. ახლა, თვალცრემლიანებმა უნდა მოვიგონოთ ის ლამაზი დღეები, ერთად რომ გაგვიტარებია.**

**რა ბედნიერები ვყოფილვართ მაშინ. როგორი სავსე და მშვენიერი ყოფილა ბავშვობა. რა ამოავსებს იმ სიცარიელეს, ლიკა დავითაშვილის წასვლამ რომ დაგვიტოვა, რა უცებ გვაგრძნობინა, რომ უკვე დიდები ვართ.**

**ყველას ფახაჯირი ახლოს მიგქონდა გულთან. მაშინაც კი, როცა თვითონ მძიმე სენით იყავი შეპყრობილი. იმ შენთვის მძიმე წუთებშიც კი არ გტოვებდა ჩვეული იუმორი, აქეთ გვამხნევებდი და იმედს გვიხახავდი, რომ სასწაული მოხდებოდა — შენ ისევ ჩვეულებრივ ცხოვრებას დაუბრუნდებოდი, სიცოცხლეს, რომელიც ასე გიყვარდა და გწყუროდა. ჯერ ხომ 22-საც არ იყავი.**

**რით ვანუგეშოთ შენი დამწუხრებული მშობლები, მეუღლე, შენი პატარა ვაჟკაცი, რომელიც დღემდე გელოდება, ალბათ, მხოლოდ იმით რომ შენი სული იმ შეცნობ მარადისობაშია, რომელიც ძალიან გჯეროდა.**

**შენი მეგობრები.**

## თბილისის მდივან-მემანქანეთა და სტენოგრაფთა სასწავლებელი

**აცხადებს მოსწავლეთა მიღებას 1991-92 სასწავლო წლისათვის.**

სასწავლებელი ამზადებს: მდივან-მემანქანეებს და მდივან-სტენოგრაფებს. სწავლების ვადა 8 თვეა.

სასწავლებელში მიიღებიან საშუალო განათლების მქონე გოგონები.

სწავლების დრო ითვლება უწყვეტ სამუშაო სტაჟად. კურსდამთავრებულები განაწილდებიან სამუშაოდ სპეციალობის შესაბამისად. უფლება აქვთ შევიდნენ უმაღლესი სასწავლებლების დღის, საღამოს და დაუსწრებელ განყოფილებებზე.

სასწავლებელში შესვლის მსურველებმა განცხადებასთან ერთად უნდა წარმოადგინონ შემდეგი საბუთები:

1. განათლების დამადასტურებელი დოკუმენტის დედანი.
2. სამედიცინო ცნობა (ფორმა № 286).
3. ცნობა საცხოვრებელი ადგილიდან.
4. ფოტოსურათი (3X4) — 4 ცალი.

რაიონებიდან მსურველებმა უნდა წარმოადგინონ აგრეთვე შუამდგომლობა წარმოება-დაწესებულებებიდან, რის საფუძველზეც მოხდება სამუშაოზე მათი შემდგომი განაწილება.

საბუთები მიიღება ყოველდღე 10-დან 16 საათამდე, გარდა შაბათ-კვირისა.

სწავლა დაიწყება 1 სექტემბერს.

სასწავლებლის მისამართია: თბილისი, ნუცუბიძის ფერდობი, I მიკრორაიონი, 125 საშუალო სკოლის შენობა. ტრანსპორტი: მეტრო „დელისიდან" ავტობუსი № 76, გმირთა მოედნიდან — № 29 სამარშრუტო ტაქსი. (ბოლო გაჩერება).

## თბილისის მოსე თოიძის სახელობის № 11 სამხატვრო პროფტექნიკური სასწავლებელი

**აცხადებს მოსწავლეთა მიღებას 1991-1992 სასწავლო წლისთვის.**

სასწავლებლის ტექნიკურ ჯგუფებში მიიღებიან საშუალო განათლების მქონე ახალგაზრდები სწავლების ორწლიანი ვადით შემდეგ სპეციალობებზე:

კერამიკა (მხატვრული კერამიკული ნაწარმის დამამზადებელი); ხეზე მხატვრული მჭრელი; მეხალიჩე (ხელით ქსოვა; არქიტექტურულ ძეგლთა რესტავრატორი: მეალფრეინე მღებავი (ფერწერული სამუშაოების შემსრულებელი); ტექნიკური ჯგუფის მოსწავლეებს მიეცემათ სტიპენდია, მიიღებენ პრაქტიკის დროს გამომუშავებული თანხის ნახევარს.

პროფტექნიკურ ჯგუფებში სწავლების ორწლიანი ვადით მიღება ცხადდება შემდეგ სპეციალობაზე: საიუველირო ნაწარმის და ჭედურობის; მეხალიჩე (ხელით ქსოვა); არქიტექტურული დეტალების მძერწავ-მემოდელე, მეალფრეინე მღებავი (ფერწერული სამუშაოების შემსრულებელი); ხეზე მხატვრული მჭრელი;

პროფტექნიკურ ჯგუფებში მიიღებიან ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის ცხრაკლასდამთავრებული ახალგაზრდები, რომლებსაც შეუძლიათ პარალელურად ისწავლონ ღამის სკოლაში. სასწავლებელში ჩარიცხულნი უზრუნველყოფილი იქნებიან უფასო კვებით. მოსწავლეები მიიღებენ პრაქტიკის დროს გამომუშავებული თანხის ნახევარს.

განცხადებას დირექტორის სახელზე პროფესიის ჩვენებით უნდა დაერთოს განათლების მოწმობა (დედანი), დაბადების მოწმობა (დედანი) ცნობა საცხოვრებელი ადგილიდან. 4 ფოტოსურათი (3X4), ცნობა ჯანმრთელობის შესახებ ფორმა (№ 086) ტექნიკურ ჯგუფებში სწავლის მსურველებმა დამატებით უნდა წარმოადგინონ პასპორტი, სამხედრო ბილეთი, შრომის წიგნაკის ამონაწერი. რაიონიდან ჩამოსულები წარმოადგენენ მომართვას წარმოება-დაწესებულებებიდან. სასწავლებელში შექმნილია ქორეოგრაფიული, ვოკალური წრეები. აგრეთვე მუშაობს სპორტული სექციები.

განცხადებები მიიღება 14 აგვისტოს ჩათვლით 10 საათიდან 17 საათამდე, (შაბათ-კვირის გარდა) მისაღები გამოცდები ჩატარდება ხატვასა და კომპოზიციაში 15-16 აგვისტოს. მოსწავლეთა ჩარიცხვა მოხდება 20 აგვისტომდე. სწავლა დაიწყება 2 სექტემბერს.

მისამართი: თბილისი, ჰონქაძის ქ. № 21. ტელ: 99-09-07, 99-99-61.

## ყურადღება!

ხვალ, 2 აგვისტოს საქართველოს მწერალთა სასახლეში (მაჩაბლის ქ. № 11) 14.00 საათზე გაიმართება საქართველოს რესპუბლიკის კავშირგაბმულობის ასოციაციის დამფუძნებელი კონფერენცია.

**საინიციატივო ჯგუფი.**

# ალორძინება არგო

გვერდის სპონსორები არიან საქველმოქმედო ასოციაცია „ალორძინება“ და ამავე ასოციაციის ფირმა „არგო“.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## კომპიუტერები და ორგტექნიკა საბჭოთა მანეთებში!

ფირმა „ზევსი“ ყველა დაინტერესებულ ორგანიზაციას თუ კერძო პირს სთავაზობს შემდეგი დასახელების საქონელს:

1. კომპიუტერები-PC /AI 286 (აშშ) 55900 მან. რუსიფიცირებული განიერი იაპონური პრინტერით
2. რუსიფიცირებული პრინტერები "EPSON" LX-800 6500 მან.
3. ტელეფაქსები "MURATA" MS 23400 მან.
4. ტელეფაქსები "Canon"-ის ფირმის 30 940 მან.
5. ტელეფაქსები "MX-3060" ციფრული ინდიკაციით 37 570 მან.
6. თერმოქაღალდი ტელეფაქსებისთვის (30 მეტრი) 270 მან.
7. პლოტერი (ფორმატი A 3) 43 000 მან.
8. პლოტერი (ფორმატი A 1) 139 100 მან.
9. ლაზერული პრინტერი "LASERUET II P ფორმატი A 4 66 300 მან.
10. ლაზერული პრინტერი "LASERIET" III ფორმატი A 4 110 500 მან
11. ქსეროქსი "SHARP Z-50" ფორმატი A 4 36400 მან.
12. ქსეროქსი "CAHOH FC-2" ფორმატი A 4 39650 მან.

შესყიდული საქონლის ღირებულებას ჩვენი კლიენტები იხდიან მხოლოდ პროდუქციის მიღების შემდეგ.

გთხოვთ დაგვიკავშირდეთ ტელეფონით: 34-82-13, 34-89-69, 35-18-27. 10-დან 17 სთ-მდე.

## რეკლამის მსურველთა საყურადღებოდ!

FIRM ARGO

გაზეთ „ახალგაზრდა ივერიელში“ რეკლამებისა და განცხადებების გამოსაქვეყნებლად მიმართეთ სარეკლამო სააგენტო „არგო-ბლიკს“.

მისამართი: ბუდაპეშტის 1.

ტელეფონი: 37-58-25 ან 37-06-64 (10. 00 სთ-დან 18.00 სთ-მდე დასვენების დღეების გარდა).

საყოფაცხოვრებო შინაარსის განცხადებების გამოქვეყნების მსურველებმა („ვცვლი ბინას“, „გვესაჭიროება“, „ვყიდი“, „ვყიდულობ“, „ვასწავლი“, „ვაქირავებ“, და ა.შ.) მოგვმართეთ 14. 00 სთ-დან 17. 00 სთ-მდე.

შეგახსენებთ, რომ ორგანიზაციებისათვის გადასახადი ერთ კვადრატულ სანტიმეტრზე 4 მანეთია, კერძო პირებისათვის 2 მანეთი.

## ძმაო ძმითა ხარ ძლიერი „000700296 „ლიკა“

პატარა ლიკა სარიევა 6 წლისაა. ავად არის 1990 წლის ოქტომბრიდან. საბჭოთა კავშირის მასშტაბით სამკურნალო მზრუნველი ხელი არ დაკლებია, მოსკოვის №1 ინფექციურ კლინიკურ საავადმყოფოს ნეირო ქირურგიის განყოფილება (მკურნალი ექიმი ლეონტიევა) გადაყვა ლიკას, მაგრამ უშედეგოდ. კონსილიუმმა დაადგინა, რომ ლიკა გერმანიის ეპილეფსიის ცენტრშია სამკურნალო, მისი სიცოცხლის შესანარჩუნებლად. ლიკას დადგენილი აქვს მენინგოენცეფალიტი, ეპილეფსია და სმენის მთლიანი დაქვეითება. პატარა ლიკა ვერც ლაპარაკობს. ლიკა ეროვნებით ბერძენია მაგრამ მშობლებიც და სხვა წინაპრებიც თბილისში აღზრდილ-დაბადებული არიან. მთელი ჩვენი ცხოვრების ჭირი და ლხინიც საქართველომ, თბილისმა და ჩვენმა ინტერნაციონალურმა ქალაქმა გადაგვატანინა, თვალცრემლიანი ლიკას დედა მანულა ორფანოვა, გთხოვთ ყველას დახმარებას პატარა ლიკას სიცოცხლის შენარჩუნებაში. გერმანიის ეპილეფსიის ცენტრი ლიკას მომავალი სიცოცხლის შენარჩუნების წყაროა. თხოვნით მოგმართავთ ყველას, თვითეულ ქართველს და არაქართველს, ძმას და მეგობარს დაგვეხმარეთ პატარა ლიკას სიცოცხლის შენარჩუნებაში.

უფალი ღმერთი დაგლოცავთ ყველას.

ლიკას სახელზე ანგარიშია გახსნილი: თბილისი, ნუცუბიძის221, 000700296 ვაკის რ-ნი კომერციული ბანკი კოდი 521 738 გადარიცხვა შეიძლება როგორც ვალუტით, ისე საბჭოთა ფულით. პატარა ლიკას მისამართია: თბილისი, ვარკეთილი 3,1 მიკრო.,რ-ნი, 32 კორპ, ბინა 42.

კომერციულ კოოპერატიულ ფირმა „იბრიკა-90“-ს ესაჭიროება სასწრაფოდ მთავარი ბუღალტერი ქალი 35 წლამდე.

ტელ. 34-36-83

ფირმა „იბერი“ იქირავებს, აიღებს იჯარით ან შეისყიდის საწყობს (სასაწყობო მეურნეობას) ხანგრძლივი ვადით.

ტელ. 98-92-03
98-92-04
10-დან 18 საათამდე.

### ორგანიზაციების, კოოპერატივების, ინდივიდების საყურადღებოდ!

ვისაც სურს შეიძინოს თანამგზავრული ანტენა რომლის საშუალებითაც შეგეძლებათ მიიღოთ თურქეთის 5, ირანის 2, ისრაელის 3, იტალიის 6 და აშშ-ს 3, ინგლისის, საფრანგეთის, გერმანიის პროგრამები, შეგიძლიათ მიმართოთ კოოპერატივ „პარამილას“ მისამართზე: ქუთაისი. დავითაშვილის ქ.№35. ტელ: 6-53-61.

### იყიდება

ავღანური მწევრის ლეკვები კარგი შთამომავლობით.

ტელ. 99-52-50 ან 34-68-61

### იყიდება

ოროთახიანი ხის ასაწყობი სახლი.

დარეკეთ 95-64-44

ფირმა „კომპი“ სთავაზობს იურიდიულ პირებს, რომლებიც ითვლებიან სატელეგრაფო საბონენტო AT-50 და მონაცემთა გადაცემის PD-200 ქსელების (სატელეტაიპო) აბონენტებად, თანამედროვეობის შესაბამის, ავტომატური გამოძახების ინტელექტუალურ ხელსაწყოს (სატელექსო ადაპტერი) VDN 52550. იგი უზრუნველყოფს მასში შემავალი და გამომავალი გამოძახებების ავტომატურ დამუშავებას.

ხელსაწყო იძლევა საშუალებას გამორიცხოთ თქვენი სამუშაო პრაქტიკიდან ყოველგვარი სატელეტაიპო აპარატი და მის მაგივრად გამოიყენოთ თქვენს ხელთ არსებული PC AT/XT ტიპის კომპიუტერი ან V.24/V.28 რეკომენდაციის დისპლეი. მასში გათვალისწინებულია მიმდევრობითი საბეჭდი მოწყობილობის შეერთება მომლოდინე რეჟიმში შეტყობინებების მისაღებად, როდესაც გამორთულია კომპიუტერი. ხელსაწყოს გააჩნია თვითტესტირების რეჟიმი.

ფირმა „კომპი“ უზრუნველყოფს ხელსაწყოს მიწოდებას სპეციალიზირებული რედაქტორით.

გთხოვთ მოგვმართოთ ტელეფონებზე:

99-79-08 და 39-29-14.

### იყიდება

ავტომანქანა AVIA - 21 (ფურგონი). მუშაობს დიზელის საწვავზე.

დარეკეთ: 31.02.42
95.37.56
31.60.61

### ვაქირავებ

70 კვ. მეტრ ფართს ფირმის ან ასოციაციისთვის ოფისად.

ტელ. 31-44-22

ახალგაზრდა ივერიელი
Общественно-политическая газета

ტელეფონები: მისაღები — 93-97-31;
პასუხისმგებელი მდივანი — 93-31-56;
წერილების განყოფილება — 99-00-49.

გაზეთი გამოდის კვირაში სამჯერ სამშაბათს, ხუთშაბათს, შაბათს.
რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს უკან არ უბრუნდებათ.

რედაქტორი
მერაბ გალარჯიშვილი

საქართველოს ჟურნალ-გაზეთების გამომცემლობა „სამშობლოს“ სტამბა თბილისი, მ. კოსტავას 14, იბეჭდება ოფსეტური წესით საგაზეთო კორპუსში ხოშარაულის 29.
1, 2, 3, 4, 5, 6, 7, 8, 9, 10, 11, 12, 13, 14, 15. НАШ ИНДЕКС 66400

რედაქციის მისამართია
ქ. თბილისი — 380096
მ. კოსტავას ქ. № 14.